

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი ქუთაისისა და თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში №8  
პერიოდი: თებერვალი - ოქტომბერი, 2015  
მარტი, 2016  
თბილისი, საქართველო



მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გულუბვი თანადგომით. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWMI).



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი ქუთაისის და თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

ანგარიში №8

(თებერვალი, 2015 – ოქტომბერი, 2015)

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

**ავტორი: გობა ხატიანაშვილი**

**რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი**

**ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარამაძე  
ეკატერინე ციმაკურიძე**

**მონიტორინგის და კვლევის  
მომზადების პროცესში მონაწილეობა  
მიიღეს საიას მონიტორებმა:** **სოფო კვინიკაძე  
თამარ ბოჭორიშვილი  
რევაზ აჭარაძე  
ნატი გელოვანი  
მარიამ მელაძე  
სალომე სალდაძე  
გივი ფურცხვანიძე**



აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2016, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# შ ი ნ ა ა რ ს ი

დაკვირვების შედეგების შეჯამება .....	5
ძირითადი ტენდენციები .....	7
პირველი წარდგენის სხდომები (აღკვეთის ღონისძიებები) ....	7
წინასასამართლო სხდომები .....	12
საპროცესო შეთანხმების სხდომები .....	12
ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომები .....	13
სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციები .....	14
შესავალი .....	16
მეთოდოლოგია .....	17
ანგარიშის სტრუქტურა .....	20
ა. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით .....	21
1. პირველი წარდგენის სხდომები .....	21
1.1. ზოგადი ტენდენციები .....	22
1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები .....	28
1.2.1. გირაო .....	28
1.2.1.1. დაუსაბუთებელი გირაოს შემთხვევები ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით .....	38
1.2.1.2. დაკავების კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ .....	41
1.2.2. პატიმრობა .....	44
1.2.3. პირადი თავდებობა .....	51
1.2.4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ .....	51

1.3. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების სტანდარტები სასამართლოს განჩინებების მიხედვით .....	53
1.4. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება .....	55
2. წინასასამართლო სხდომები .....	56
3. საპროცესო შეთანხმების სხდომები .....	60
4. ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომები .....	70
<b>ბ. დაკვირვების შედეგად გამოვლენილი სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციები .....</b>	<b>72</b>
1. მოტივირებული (დასაბუთებული) სასამართლო გადანყვეტილების უფლება .....	72
2. მონმის დაცვის გარანტიების სიმცირე .....	79
3. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა .....	81
4. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი .....	86
5. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება .....	94
6. დაცვის უფლება .....	99
<b>გ. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ქცევა სასამართლო სხდომებზე .....</b>	<b>105</b>
<b>დ. სასამართლო პროცესის დროულად გამართვის უზრუნველყოფა .....</b>	<b>111</b>
<b>რეკომენდაციები .....</b>	<b>112</b>

## დაკვირვების შედეგების შეჯამება

- მონიტორინგის ამ პერიოდში (2015 წლის თებერვალი-ოქტომბერი) გაგრძელდა ცალკეული მიმართულებებით სასამართლოს მიდგომების გაუმჯობესების ტენდენცია. მართალია, მცირედით შემცირდა პატიმრობის შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი, თუმცა, ამის მიუხედავად, გაიზარდა დაუსაბუთებელი გადანყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. აგრეთვე, გაიზარდა დაუსაბუთებელი გირაოს გამოყენების შემთხვევები, როდესაც ის არაპროპორციული იყო საქმის გარემოებებთან მიმართებით, ან მისი შეფარდება ხდებოდა ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევის გარეშე.
- პროკურატურის შუამდგომლობის გარკვეული ნაწილი აღკვეთის ღონისძიების შესახებ, მეტწილად გირაოს ნაწილში, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი რჩება, ვინაიდან თითქმის ყველა შემთხვევაში, პროკურატურას არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. პოზიტიურ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სასამართლო ხშირად თავად ცდილობდა ბრალდებულის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის გამორკვევას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლის ყველა ასეთი გადანყვეტილება დასაბუთებული იყო.
- გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახეების თვალსაზრისით, წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მოსამართლეებმა უფრო ნაკლებ შემთხვევაში გამოიყენეს სხვა ალტერნატიული (გირაოსა და პატიმრობისგან განსხვავებული) აღკვეთის ღონისძიება. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, გაიზარდა ბრალდებულის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების გარეშე დატოვების პროცენტული მაჩვენებელი.
- მონიტორინგის მთელი პერიოდის მანძილზე (2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული) მესამედ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ საანგარიშო პერიოდის მანძილზე სულ 3 ბრალდებულის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე დასწრების პრობლემა აღარ დაფიქსირებულა. ასეთი ტიპის სხდომებზე დასწრება უკვე ყველა მოქალაქისათვის თავისუფლად არის შესაძლებელი.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, სასამართლოებმა ვერ შეძლეს, წინასწარ გამოეყვეყნებინათ ინფორმაცია პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, წინასასამართლო სხდომები, ძირითადად, ისევ რუტინულად მიმდინარეობდა. სასამართლოები, როგორც წესი, ეთანხმებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობას მტკიცებულებების წარდგენის შესახებ. დაცვა, ძირითადად, თავს იკავებდა როგორც საკუთარი მტკიცებულებების წარდგენის, ისე ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნისაგან, თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაცვა უფრო გააქტიურებული იყო.
- წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, დაფიქსირდა 4 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ მხარეთა ნებართვის გარეშე დაუსვა მოწმეებს შეკითხვები, რითაც დაარღვია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.
- რაც შეეხება ჩხრეკასა და ამოღებას, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. კვლავ არსებობს მიზეზი, რომ ეჭვი შევიტანოთ სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულების შესრულებაში, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა განახორციელონ ან დააკანონონ ჩხრეკა და ამოღება მაშინ, როდესაც სათანადოდ არ არის არგუმენტირებული გადაუდებელი აუცილებლობა. ასევე, დაუსაბუთებელია სასამართლო განჩინებები გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ.
- მესამედ მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით) დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არასამართლიანად მიიჩნია საპროცესო შეთანხმებით დადგენილი სასჯელი, გაითვალისწინა ბრალდებუ-

ლის მდგომარეობა და არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. წინა სამ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტების კუთხით, მდგომარეობა გაუარესებულია. ამ საანგარიშო პერიოდში მოსამართლეები ნაკლებად ცდილობდნენ ბრალდებულის ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ და იმის გამორკვევას, იყო თუ არა საპროცესო შეთანხმებები არასათანადო მოპყრობის შედეგი. აგრეთვე, კიდევ უფრო შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჯარიმას აკისრებდა, თუმცა, გაიზარდა ჯარიმის საშუალო ოდენობა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით.

- რაც შეეხება ბრალდებულის კონკრეტულ უფლებებს, შესამჩნევი ცვლილება არ დაფიქსირებულა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლეები არასრულად ან საერთოდ არ განუმარტავდნენ ბრალდებულს უფლებებს.
- მოსამართლეებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სასამართლო პროცესზე წესრიგის დაცვის თვალსაზრისით. რიგ შემთხვევაში, სასამართლო იყო არაადეკვატურად ლმობიერი, რაც აზარალებდა პროცესის ეფექტურად წარმართვას, სხვა შემთხვევებში კი – ილებდა საჭირო ზომებს დარბაზში წესრიგის დასამყარებლად.
- სასამართლო პროცესების დროულად დაწყება კვლავ პრობლემად რჩება. პროცესზე ხშირად მოსამართლეები აგვიანებენ.

## **ძირითადი ტენდენციები**

### **პირველი წარდგენის სხდომები (ალკვეთის ღონისძიებები)**

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით (2014 წლის აგვისტო – 2015 წლის იანვარი), ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2015 წლის თებერვლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით):

- 56%-დან 54%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც პროკურატურა პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა.



- 42%-დან 40%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.
- 52%-დან 55%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ.
- 6%-დან 5%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც შეეფარდათ ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება.
- 3%-დან 6%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც არცერთი აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდათ.
- **სასამართლო, ძირითადად, კვლავ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას – პატიმრობასა და გირაოს იყენებს.** წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მცირედით იკლო სხვა ალტერნატიული ღონისძიების შეფარდების პროცენტულმა მაჩვენებელმა და სასამართლომ 5 შემთხვევაში გამოიყენა პირადი თავდებობა, ხოლო 13 შემთხვევაში – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელი შესახებ. სულ 18 (5%) შემთხვევაში იყო გამოყენებული ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება. წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 25 (6%) შემთხვევაში გამოიყენა გირაოსა და პატიმრობისაგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიება.
- აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში (2015 წლის თებერვალი-ოქტომბერი) დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავების ოქმი, ბრალდებულს გირაო შეუფარდა და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. მონიტორინგის დაწყებიდან (2011 წლის ოქტომბერი) მოყოლებული მსგავსი შემთხვევა უკვე მესამედ დაფიქსირდა.
- ასევე, დაფიქსირდა 11 (3%) შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად პროკურორის შუამდგომლობისა, სასამართლომ ბრალდებულები აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.
- 11 (3%) შემთხვევაში პროკურორებს არ მოუთხოვიათ აღკვეთის კონკრეტული ღონისძიების გამოყენება, თუმცა, აქედან 7 შემთხვევაში ბრალდებული უკვე მსჯავრდებული იყო სხვა

დანაშაულისათვის, ან სხვა საქმეზე ჰქონდა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პროკურორმა უარი თქვა აღკვეთის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებაზე. მხოლოდ ორი შემთხვევა იყო ისეთი, როდესაც პირს არ ჰქონდა შეფარდებული არცერთი ღონისძიება და, ამის მიუხედავად, პროკურორმა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღის ჩანიშვნის შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. ორ შემთხვევაში, პროკურორმა გაითხოვა შუამდგომლობა.

- **ჯამში 22 ბრალდებულს არ შეეფარდა არცერთი აღკვეთის ღონისძიება.** მიუხედავად იმისა, რომ 7 შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა განპირობებული იყო პირის პატიმრობაში ყოფნით, დარჩენილი 15 (4%) შემთხვევა მოწმობს, რომ მცირედით გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც არცერთი აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდება. წინა საანგარიშო პერიოდში 13 (3%) ბრალდებულის მიმართ არ იყო გამოყენებული არცერთი აღკვეთის ღონისძიება. საია იმედოვნებს, რომ პროკურორები და სასამართლოები არ გადაუხვევენ აღნიშნულ დადებით ტენდენციას და მომავალშიც, მხოლოდ საჭირო შემთხვევებში მოითხოვენ და გამოიყენებენ რომელიმე აღკვეთის ღონისძიებას.
- ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროკურატურამ 2 (0.5%) შემთხვევაში თვითონ მოითხოვა სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების შეფარდება (პირადი თავდებობა და შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ), რასაც სასამართლო დაეთანხმა.
- 2013 წლის იანვრიდან დაწყებული დადებითი ცვლილებები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ ამ საანგარიშო პერიოდში შეიცვალა და პატიმრობისა და გირაოს შესახებ გადაწყვეტილებების 12% დაუსაბუთებელი იყო. სასამართლომ პატიმრობისა და გირაოს გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მხოლოდ 88% დაასაბუთა. წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებების 96% და გირაოს შესახებ გადაწყვეტილებების 95% იყო დასაბუთებული.
- საგულისხმოა, რომ დაუსაბუთებელი იყო ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით ბრალდებულის მიმართ გა-

მოყენებული გირაო. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე განხილული ოჯახში ძალადობის 5 შემთხვევიდან, სამ ბრალდებულს (60%) სასამართლომ შეუფარდა გირაო მინიმალური ოდენობით, რომელსაც, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ ექნებოდა შემაკავებელი ეფექტი. ამასთან, მოცემული გადაწყვეტილება გირაოს შეფარდების თაობაზე არის აშკარად დაუსაბუთებელი. აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლემ პოტენციური საფრთხე შეუქმნა ძალადობის მსხვერპლი ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

- მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა განჩინებები სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომელიც ჩატარდა 2015 წლის თებერვლის, მაისის, ივლისისა და ოქტომბრის თვეებში. ამ საკითხზე სასამართლოსგან მივიღეთ სულ 15 განჩინება. შესწავლილი განჩინებებიდან, საიას აზრით, 5 (33%) იყო ცალსახად დაუსაბუთებელი, ვინაიდან სასამართლო აბსტრაქტულად უთითებდა აღკვეთის ღონისძიების მიზნებზე, ზოგადად მსჯელობდა არსებული საფრთხეების თაობაზე და მწირი ინფორმაცია იყო მოცემული ფაქტების შესახებ.
- საგულისხმოა, რომ ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოსამართლემ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვასთან დაკავშირებული საქმეების ყველა შემთხვევაში პატიმრობა დატოვა ძალაში. მართალია, კვლევის მიზნებს სცილდება იმის შეფასება, თუ რამდენად სწორად მოიქცა სასამართლო, თუმცა, არსებული სტატისტიკა ბადებს ეჭვებს, რომ მოსამართლეები ფორმალურად განიხილავენ პატიმრობის გადასინჯვის საკითხს.
- პირველი წარდგენის სხდომების მონიტორინგმა აჩვენა, რომ პროკურორები ხშირად მიუთითებდნენ ბრალდებულის მოხსნილ ან გაქარწყლებულ ნასამართლობაზე და მიანიშნებდნენ, რომ ეს იყო ბრალდებულის პიროვნული მახასიათებელი, კერძოდ, პირის მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ნასამართლობის, როგორც პიროვნული მახასიათებლის თაობაზე აქცენტს არ აკეთებდ-

ნენ, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ბრალდებული კვლავ ნასამართლობის ქვეშ იყო. საგულისხმოა, რომ მიზეზების აუხსნელად ბრალდებულის წინა ნასამართლობის შესახებ მსჯელობამ შეიძლება დატოვოს შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული კრიმინალია, რაც მოსამართლეს შეუქმნის განწყობას პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით.

- წინა სამი საანგარიშო პერიოდიდან მოყოლებული კიდევ ერთი ტენდენცია შეინიშნება – სასამართლო ხშირად თავად ცდილობდა ბრალდებულის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევას. **თუმცა, მიუხედავად მოსამართლის აქტიურობისა, ბრალდებულისთვის კითხვების დასმა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ყველა ასეთი გადანყვეტილება დასაბუთებული იყო.**

- შემთხვევების 29%-ში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ შეუფარდა გირაო.
- 1 შემთხვევაში (0.5%), როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.
- 2 (1%) შემთხვევაში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა პირადი თავდებობა და შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.
- შემთხვევების 70%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ შეამცირა მოთხოვნილი გირაოს ოდენობა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ გირაოს თანხის შემცირების ყველა შემთხვევა დასაბუთებული იყო.
- შემთხვევების 7%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 2%-ში შეუფარდა პირადი თავდებობა პროკურორის მიერ გირაოს მოთხოვნის მიუხედავად.
- შემთხვევების 7%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ ბრალდებულები დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

## წინასასამართლო სხდომები

- მონიტორინგის წინა პერიოდისაგან განსხვავებით, დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ საქმე არ გადასცა არსებითად განსახილველად და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა წინასასამართლო განხილვის ეტაპზე.
- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, სასამართლოები, ძირითადად, ისევ შემოიფარგლებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილებით მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. რაც შეეხება დაცვის მხარეს, გაცილებით უფრო აქტიური იყო. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაცვის მხარის წინააღმდეგობა პროკურორის შუამდგომლობებზე 6%-დან 14%-მდე გაიზარდა. ამ საანგარიშო პერიოდში დაცვამ 135 საქმიდან მხოლოდ 33 შემთხვევაში (24%) დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის აქტიურობა ამ მიმართულებით 20%-ს, იმის წინა საანგარიშო პერიოდში კი – 23%-ს შეადგენდა. დაცვა, ძირითადად, ეთანხმებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობებს.

## საპროცესო შეთანხმების სხდომები

- თავდაპირველ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, მოსამართლეები კიდევ უფრო აქტიურობდნენ საპროცესო შეთანხმების განხილვისას და ავტომატურად აღარ ამტკიცებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი) მესამედ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საპროცესო შეთანხმების განხილვისას მოსამართლემ დასვა დამატებითი კითხვები და დაინტერესდა, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო საპროცესო შეთანხმების პირობები. ორ შემთხვევაში, იმის გამო, რომ მოსამართლე ვერ დარწმუნდა საპროცესო შეთანხმების კანონიერებასა და სამართლიანობაში, უარი თქვა მათ დამტკიცებაზე. საია დადებითად აფასებს ამ შემთხვევებს და იმედს იტოვებს, რომ მოსამართლეები მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდებიან საპროცესო შეთანხმების სამართლიანობისა და კანონიერების დადგენას და მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცებენ მას.

- 7 (6%) შემთხვევაში მოსამართლეს ბრალდებულისათვის არ განუმარტავს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.
- მონიტორინგის ბოლო 5 პერიოდა, ნელ-ნელა მცირდება იმ საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა, რომლებითაც ბრალდებულებს ჯარიმა შეეფარდათ. აღნიშნულმა მაჩვენებელმა ამ ეტაპზე 39% შეადგინა, მაშინ, როდესაც წინა საანგარიშო პერიოდებში ის 68%,<sup>1</sup> 50%<sup>2</sup>, 49%<sup>3</sup>, 44%<sup>4</sup> და 41%<sup>5</sup> იყო. თუმცა, საგრძნობლად გაიზარდა შეფარდებული ჯარიმების საშუალო ოდენობა და მან 4.560 ლარი შეადგინა. წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობა 3.538 ლარი იყო.
- საპროცესო შეთანხმებისას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების პროცენტულმა მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა და 7%-დან 15%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი 1%-დან 7%-მდე გაიზარდა, თუმცა, მომდევნო პერიოდებში მდგომარეობა არსებითად აღარ შეცვლილა. ამ საანგარიშო პერიოდში კი აღნიშნული სასჯელის გამოყენების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა.

## **ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომები**

ამ საანგარიშო პერიოდში, საქმისა და სასამართლო შემადგენლობის მიმართ დიდი ინტერესის გამო, საია დააკვირდა ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთი განხილული საქმის არსებითი განხილვის 18 სხდომას.

- 7 (39%) შემთხვევაში საქმის განხილვის შესახებ ინფორმა-

<sup>1</sup> 2012 წლის ივლისი-დეკემბერი.

<sup>2</sup> 2013 წლის იანვარი-ივნისი.

<sup>3</sup> 2013 წლის ივლისი-დეკემბერი.

<sup>4</sup> 2014 წლის იანვარი-აგვისტო.

<sup>5</sup> 2014 წლის აგვისტო-2015 წლის იანვარი.

ცია არ იყო მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ საიტზე.

- ნაფიცი მსაჯულები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხდომის მიმდინარეობაში.
- ამ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც ნაფიცი მსაჯულის გამოსახულება გამოჩნდა ერთ-ერთი ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემაში, რაც წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას.
- ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღეს გამამტყუნებელი ვერდიქტი ათი ორის წინააღმდეგ. თუმცა, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სასამართლოს მიმართეს სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციით.

### **სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციები**

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, დაცვა კვლავ პასიურობით გამოირჩეოდა ბრალდებასთან შედარებით. მისი გააქტიურება შეინიშნება მხოლოდ პირველი წარდგენის სხდომებზე.
- დასრულებული 53 საქმიდან, რომელიც არ მოიცავს საპროცესო შეთანხმების სხდომებს, 3 განაჩენი იყო გამამართლებელი, 48 – გამამტყუნებელი, ხოლო ორი განაჩენი ბრალდების ზოგ ეპიზოდში იყო გამამართლებელი, ზოგში კი – გამამტყუნებელი. წინა საანგარიშო პერიოდში გამოტანილი 5 ნ განაჩენიდან ბრალდებული ყველა შემთხვევაში გამტყუნდა.
- მონიტორინგის წინა სამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ტენდენცია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტების კუთხით, მცირედით შეიცვალა და ამ საანგარიშო პერიოდში მდგომარეობა შედარებით გაუარესდა.
- ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების დაკანონების კუთხით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ვითარება არსებითად არ შეცვლილა. მონიტორინგის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში დაფიქსირებული ჩხრეკისა და ამოღების შესახებ წარმოდგენილი 27 შუამდგომლობიდან მხოლოდ 5 (19%) შემთხვევაში გასცა სასამართლომ წინას-

ნარი ნებართვა ჩხრეკის ჩატარებაზე. დანარჩენ 22 (81%) შემთხვევაში კი, სასამართლომ დააკანონა უკვე ჩატარებული ჩხრეკა. ეს კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს – თუ ჩხრეკა და ამოღება არ ემყარება გადაუდებელ აუცილებლობას, ის არ უნდა ჩატარდეს, ან/და შემდეგ არ უნდა დაკანონდეს.

- აგრეთვე, მოსამართლის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შეფასების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია, კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების **კანონიერად ცნობის შესახებ** მოსამართლის ის განჩინებები, რომლებიც მხარეს არ გაუსაჩივრებია სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. შედეგად, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოსგან მივიღეთ 15 განჩინება, თუმცა, აქედან ორი ეხებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებლად წინასწარი ნებართვის გაცემას, რაც არ ყოფილა ჩვენი მოთხოვნისა და შესწავლის საგანი. დანარჩენი 13 განჩინებიდან ჩხრეკისა და ამოღების შესახებ, რომლებიც ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობით, 10 (77%) ცალსახად დაუსაბუთებელი იყო.
- პრობლემურ საკითხად რჩება სასამართლო განხილვების დროულად დაწყებაც. პირველი წარდგენისა და ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომების გამოკლებით, სხვა დანარჩენი სხდომების 41% 5 წუთზე მეტი დაგვიანებით დაიწყო. მკვეთრად გაუარესებული მდგომარეობაა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, როდესაც პროცესების მხოლოდ 23% დაიწყო 5 წუთზე მეტი დაგვიანებით.



## შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან. საიამ მონიტორინგის პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განახორციელა. 2012 წლის 1 დეკემბერს საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩაერთო. 2014 წლის მარტის თვეში კი, მონიტორინგი ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც დაიწყო. სამივე ქალაქში მონიტორინგის იდენტური მეთოდები იყო გამოყენებული.

საიას მიერ მომზადებული მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები მოიცავს 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე არსებულ პერიოდს;<sup>6</sup> მესამე ანგარიში მოიცავს პერიოდს – 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე;<sup>7</sup> მეოთხე ანგარიში მოიცავს პერიოდს – 2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით;<sup>8</sup> მეხუთე ანგარიში მოიცავს პერიოდს – 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით;<sup>9</sup> მეექვსე ანგარიში მოიცავს პერიოდს – 2014 წლის იანვრიდან 15 აგვისტოს ჩათვლით.<sup>10</sup> საიამ მონიტორინგის მეექვსე ანგარიშთან ერთად წარმოადგინა მონიტორინგის სამი წლის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც შევიდა ამ ხნის განმავლობაში სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები, ცვლილებები, ტენდენციები და არსებული გამოწვევები.<sup>11</sup> აგრეთვე, საიამ ივნისის თვეში წარმოადგინა რიგით მეშვიდე ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2014 წლის 15 აგვისტოდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით არსებულ მონაცემებს.<sup>12</sup>

ამჯერად წარმოგიდგენთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეშვიდე ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2015

<sup>6</sup> სასამართლო მონიტორინგის პირველი ანგარიში: <https://goo.gl/XzPmqh>;  
სასამართლო მონიტორინგის მეორე ანგარიში: <https://goo.gl/nMoeXi>;

<sup>7</sup> სასამართლო მონიტორინგის მესამე ანგარიში: <https://gyla.ge/files/monitoringis%20angariSi3.pdf>;

<sup>8</sup> სასამართლო მონიტორინგის მეოთხე ანგარიში: <https://goo.gl/qvdpMY>;

<sup>9</sup> სასამართლო მონიტორინგის მეხუთე ანგარიში: <https://goo.gl/rt2jp3>;

<sup>10</sup> სასამართლო მონიტორინგის მეექვსე ანგარიში: <https://goo.gl/ylt9FY>;

<sup>11</sup> სასამართლო მონიტორინგის სამწლიანი შედეგების შეჯამება: <https://goo.gl/6RIIXo>;

<sup>12</sup> სასამართლო მონიტორინგის მეშვიდე ანგარიში: <https://goo.gl/7WsvEk>.

წლის თებერვლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით. წინა ანგარიშების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონიტორინგის მიზანია გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლო დარბაზებში მიმდინარე რეალური პროცესების ასახვა და საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ანგარიშს თან ერთვის მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანია სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესების ხელშეწყობა.

2015 წლის თებერვლიდან ოქტომბრის ჩათვლით არსებულ პერიოდში საიამ 1090 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა. **მათ შორისაა:**

- 300 – პირველი წარდგენის სხდომა;
- 159 – წინასასამართლო სხდომა;
- 113 – საპროცესო შეთანხმების სხდომა;
- 473 – არსებითი განხილვის სხდომა;
- 18 – ნაფიც მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომა;
- 14 – სააპელაციო განხილვის სხდომა;
- 13 – ნაფიც მსაჯულების შერჩევის სხდომა.

ამ 1090 სხდომიდან 700 თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა, 12 კი – თბილისის სააპელაციო სასამართლოში. აგრეთვე, 376 სხდომა გაიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, საიამ ცალკე სტატისტიკის სახით არ გამოყო ნაფიც მსაჯულთა შერჩევისა და სააპელაციო განხილვის სხდომები, ვინაიდან ამ პროცესებზე რაიმე განსხვავებული ტენდენცია არ დაფიქსირებულა.

### **მეთოდოლოგია**

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა.

მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსისა და იურისტების მიერ.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, ანარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. ამ ანგარიშის დანართები, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ამ, გარკვეულწილად, სუბიექტურ შეფასებებს, თუმცა, საიას დასკვნა მთლიანობაში ეფუძნება მონიტორების მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ძირითადი მეთოდოლოგიის გარდა, რომელიც მოიცავდა სხდომებზე დაკვირვების შედეგად არსებული ინფორმაციის ანალიზს, გამოვითხოვეთ სასამართლოს განჩინებებიც. საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან, საჯარო ინფორმაციის სახით, გამოვითხოვეთ განჩინებები ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომელიც ჩატარდა 2015 წლის თებერვლის, მაისის, ივლისისა და ოქტომბრის თვეებში.<sup>13</sup> ასევე, ამავე სასამართლოდან გამოვითხოვეთ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის ის განჩინებები, რომლებიც მხარეს არ გაუსაჩივრებია სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.<sup>14</sup> სასამართლოდან მივიღეთ სულ 30

<sup>13</sup> საიას 2015 წლის 9 ნოემბრის №გ-04/573.15 განცხადება.

<sup>14</sup> იქვე.

განჩინება.<sup>15</sup> აქედან, 15 ეხებოდა ბრალდებულის პირველი წარდგენის შესახებ გადანყვეტილებას, ხოლო 15 განჩინება – ჩხრეკა/ამოღების ჩატარების საკითხს. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ გამოგზავნილი ჩხრეკისა და ამოღების 15 განჩინებიდან, ორი გადანყვეტილება ეხებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად წინასწარი ნებართვის გაცემას, რაც არ ყოფილა ჩვენი მოთხოვნისა და შესწავლის საგანი.

აგრეთვე, ამ ანგარიშში პირველად მოხვდა ნაფიცი მსაჯულებების მონაწილეობით გამართული საქმის არსებითი განხილვის სხდომები და მათზე დაკვირვების შედეგები.

ამ საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის სხდომებზე მოსამართლეთა მხრიდან დაფიქსირდა დაუსაბუთებელი და არაადეკვატური მიდგომა ოჯახში ძალადობის რამდენიმე შემთხვევასთან დაკავშირებით, რის გამოც აღნიშნული საკითხი ანგარიშში ცალკე შეფასების სახით არის წარმოდგენილი.

მონიტორინგის მიზანს არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაარსის შესწავლა. კერძოდ, საიას არ გაუკეთებია იმ საკითხების ანალიზი, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებს და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და სხვადასხვა ეტაპის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი. ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები.

აგრეთვე, საია აკვირდებოდა იმ საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით.

ამ საქმეებზე საიას მონიტორი, შეძლებისდაგვარად, განხილვის მთელ ეტაპს დაესწრო.

---

<sup>15</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბერს გამოგზავნილი პასუხი №1-01245/27391.

ზემოაღნიშნულ „გახმაურებულ“ და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შერჩეულ საქმეებს ასოციაციის სააპელაციო სასამართლოშიც აკვირდებოდა.

## **ანგარიშის სტრუქტურა**

*წინამდებარე ანგარიში 5 ძირითადი ნაწილისაგან შედგება:*

პირველი ნაწილი მოიცავს ძირითად დასკვნებს სისხლის სამართლის საქმის ეტაპებზე კანონმდებლობით გარანტირებულ უფლებებსა და ცალკეულ სხდომებთან დაკავშირებით (ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები, წინასასამართლო სხდომები, საპროცესო შეთანხმების სხდომები და ნაფიცო მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომები).

ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ძირითადი საკითხები და ამ საკითხებთან მიმართებით გამოვლენილი ტენდენციები. ესენია: მოტივირებული (დასაბუთებული) სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, მონშის დაცვის გარანტიების სიმცირე, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, საჯარო სასამართლო განხილვის უფლება და დაცვის უფლება.

ანგარიშის მესამე ნაწილი ეხება პროცესის მონაწილეთა ქცევას სასამართლოში. ეს ნაწილი მოიცავს მხოლოდ ისეთი სახის დარღვევებს, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საპროცესო კანონმდებლობასა და ეთიკურ ნორმებს.

ანგარიშის მეოთხე ნაწილი მოიცავს სასამართლოში პროცესის გამართვასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების მიმოხილვას.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საიას მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც მონიტორინგის მთელი პერიოდის მანძილზე გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით მომზადდა.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების უფრო ნათელ სურათს და პოზიტიურ წვლილს შეიტანს სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში.

## 5. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით

### 1. პირველი წარდგენის სხდომები (აღკვეთის ღონისძიებები)

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება კანონით დადგენილ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-უზრუნველმყოფი ხასიათი და მისი მიზანია არა პირის ბრალეულობის მტკიცება, არამედ იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.<sup>16</sup>

სასამართლოს შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა და არასრულწლოვან ბრალდებულზე მეთვალყურეობის დანესება.

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არამართებულობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ტვირთი ბრალდების მხარეს აკისრია. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულება პროკურორის შუამდგომლობის სან-

<sup>16</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი №6466 II-40.

ინალმდევოდ. ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რადგან საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, რაც გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით<sup>17</sup> და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მთელი რიგი გადაწყვეტილებებით.<sup>18</sup>

### 1.1. ზოგადი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 300 პირველი წარდგენის სხდომას (226 – თბილისის საქალაქო სასამართლოში და 74 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში) 350 ბრალდებულის<sup>19</sup> მიმართ. მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით (2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული), ზოგადი სურათი მკვეთრად გაუმჯობესებულია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 3 წლის წინ სასამართლოში დანყებულ დადებითი ცვლილებები ბოლო პერიოდში არსებითად აღარ გაუმჯობესებულა. ამასთან, წინა პერიოდებში არსებული ცალკეული ნეგატიური პრაქტიკა უცვლელი დარჩა. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად აღარ გაუმჯობესებულა. აღსანიშნავია ისიც, რომ არაერთგვაროვანია საერთო სასამართლოების მიდგომა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების სტანდარტებთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

სასამართლო, ძირითადად, კვლავ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას იყენებს. **შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების 95%-ს გირაო და პატიმრობა შეადგენს. აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შემთხვევები კვლავ ძალიან**

<sup>17</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2

<sup>18</sup> E.g., Hiro Balani v. Spain, no. 18064/91, Para: 27 (9 December, 1994).

<sup>19</sup> პირველ წარდგენის ზოგიერთ სხდომაზე ერთზე მეტი ბრალდებული მონაწილეობდა.

**მცირეა.** კერძოდ, ბრალდებულთა 5%-ს შეეფარდა პატიმრობისა და გიროსაგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიება. აღნიშნული მაჩვენებელი წინა საანგარიშო პერიოდში 6%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში პროკურორების მხრიდანაც გაჩნდა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისა და, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობის დაყენების ნაცვლად, წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნის მოთხოვნის პრეცედენტები. 350 ბრალდებულიდან პროკურორმა ორი ბრალდებულის მიმართ მოითხოვა გიროსა და პატიმრობისაგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიება, რაც სასამართლო დაეთანხმა.

რაც შეეხება, აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების საკითხს, მონიტორინგის დროს გამოვლინდა 11 (3%) შემთხვევა, როდესაც სასამართლომ, მიუხედავად პროკურორის მოთხოვნისა (1 შემთხვევაში პროკურატურა ითხოვდა პატიმრობას, 10 შემთხვევაში კი - გიროს), ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. ამასთან, მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც თავად ბრალდების მხარემ არ იშუამდგომლა არცერთი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და სასამართლოს პირდაპირ წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნის შუამდგომლობით მიმართა. 350 ბრალდებულიდან პროკურორმა სულ 11 (3%) შემთხვევაში არ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. თუმცა, 7 შემთხვევაში ბრალდებული უკვე მსჯავრდებული იყო სხვა დანაშაულისათვის, ან სხვა საქმეზე ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პროკურორმა უარი თქვა აღკვეთის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებაზე. მხოლოდ ორი შემთხვევა იყო ისეთი, როდესაც პირს არ ჰქონდა შეფარდებული არცერთი ღონისძიება და, მიუხედავად ამისა, პროკურორმა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღის ჩანიშვნის შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, 2 შემთხვევაში კი – პროკურორმა გაითხოვა შუამდგომლობა.

სასამართლოში 3 წლის წინ დაწყებული დადებითი ცვლილებები მნიშვნელოვნად აღარ გაუმჯობესებულა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების მიმართულებით. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასამართლომ შეცვალა თავისი კომფორმისტული დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ, როდესაც, რიგ შემთხვევებში, არ



დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მომდევნო საანგარიშო პერიოდებში ეს ტენდენცია შენარჩუნდა. სასამართლოები შედარებით აქტიურები იყვნენ აღკვეთის ღონისძიების განხილვისას და არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნით. მართალია, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაიზარდა დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევები, მაგრამ ვითარება არსებითად არ გაუარესებულა. მოსამართლეები მეტ ძალისხმევას იჩენდნენ პროკურორის შუამდგომლობის საფუძვლიანობისა და დაცვის პოზიციის გამოსარკვევად. მოსამართლეები დასაბუთებისას ხშირად იყენებდნენ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ფაქტობრივ (მატერიალურ) და ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლებს. თავის მხრივ, პროკურორებიც ცდილობდნენ, უკეთ დასაბუთებული შუამდგომლობით მიემართათ სასამართლოსთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, პროკურორების შუამდგომლობებს აბსტრაქტული, შაბლონური ხასიათი ჰქონდა. მართალია, ბრალდების მხარე უთითებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებს, მაგრამ აღნიშნული არგუმენტები ხშირად ბრმად იყო მოყვანილი და არ უკავშირდებოდა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. საგულისხმოა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას საფრთხეების აბსტრაქტულად არსებობაზე მითითება არ წარმოადგენს იმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომლის დროსაც შეიძლება კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მტკიცება.

ამჟამინდელი სტატისტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რაც იყო მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდებში, როდესაც მოსამართლეები ავტომატურად აკმაყოფილებდნენ ბრალდების მხარის შუამდგომლობებს. ამ საანგარიშო პერიოდში, უმეტესად, მოსამართლეები უსვამდნენ კითხვებს ბრალდებულებს, რათა მიეღოთ ინფორმაცია ბრალდებულის პიროვნებისა თუ ოჯახური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, მიუხედავად ამისა, კითხვების დასმა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება იყო დასაბუთებული.

მართალია, ამ საანგარიშო პერიოდში ბრალდების მხარემ პატიმრობა საქმეების ნახევარზე მეტში მოითხოვა, კერძოდ, 350 ბრალდებულისაგან 188 (54%) ბრალდებულის მიმართ, თუმცა, ბრალ-

დების მხარე ცდილობდა შუამდგომლობები პატიმრობის შესახებ უფრო დასაბუთებული ყოფილიყო. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი გირაოს შუამდგომლობები, პატიმრობასთან შედარებით, ნაკლებად დასაბუთებული ჩანდა, ვინაიდან, თითქმის ყველა შემთხვევაში, პროკურატურას არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, აქ თავის დადებით როლს კვლავ სასამართლო ასრულებდა და, ძირითადად, თავად ცდილობდა ბრალდებულისაგან ამ ინფორმაციის მოპოვებას. **საგულისხმოა, რომ რიგ შემთხვევებში პროკურორები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაკისრებულ ვალდებულებას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემოწმების გზით წარადგენდნენ სასამართლოში ინფორმაციას ბრალდებულის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების შესახებ.** აღსანიშნავია, რომ გირაოს შეფარდების ზოგიერთ შემთხვევაში პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლოს არ გამოუკვლევია ბრალდებულის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა არის თბილისის საქალაქო სასამართლოში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები, უმეტესად, არ აქტიურობდნენ და არ იჩენდნენ საკმარის ძალისხმევას ყველა საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

აღსანიშნავია, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს არა მარტო მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა, არამედ სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროკურორები, ძირითადად, მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებაზე უფრო მსუბუქი ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, მის არაეფექტურობასა და მიზანშეწონილობაზე მიუთითებდნენ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ასეთ მითითებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

პირველი წარდგენის სხდომაზე, დაცვის განხორციელების მხრივ, მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, თუმცა, დაცვა უფრო იშვიათად ეთანხმებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას და ცდილობდა, კონკრეტული არგუმენტებით დაესაბუთებინა თავისი პოზიცია. ამის საპირისპიროდ, **სამწუხაროდ, ისევ იყო შემთხვევები, როდესაც დაცვა ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას და თავის სასარგებლოდ არც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი არ მოჰყავდა.**

350 ბრალდებულიდან მხოლოდ 84 (24%) შემთხვევაში დააყენა დაცვამ გირაოსგან განსხვავებული მოთხოვნა.<sup>20</sup> აქედან, სასამართლომ დააკმაყოფილა 15 (18%). უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შედეგი თითქმის არ განსხვავდებოდა წინა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული შედეგისგან, როდესაც დაცვამ მხოლოდ 75 შემთხვევაში (19%) მოითხოვა გირაოსგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიება და აქედან სასამართლომ 14 (19%) დააკმაყოფილა. თუმცა, ამ მიმართულებით გრძელდება დაცვის მხარის გააქტიურების ტენდენცია და საია იმედოვნებს, რომ დაცვის მხრიდან განშირდება აღკვეთის უფრო მსუბუქი ღონისძიებების მოთხოვნის შემთხვევები. რაც მთავარია, ეს უნდა იყოს კარგად დასაბუთებული მოთხოვნა ფორმალური შუამდგომლობის ნაცვლად და, შესაბამისად, სასამართლომაც ყველა შესაძლო შემთხვევაში უნდა გამოიყენოს გირაოსა და პატიმრობისაგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიებები.

სასამართლომ ბრალდებულთა 40%-ს (130 ბრალდებულს 350-დან) პატიმრობა, ხოლო 55% -ს (180 ბრალდებულს 350-დან) გირაო შეუფარდა.

ამ საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგის წინა პერიოდისაგან განსხვავებით, გირაოს გამოყენების შემთხვევებმა მოიმატა, კერძოდ, ბრალდებულთა 55%-ს გირაო შეეფარდა. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე პატიმრობას ითხოვდა, სასამართლომ ბრალდებულს გირაო შეუფარდა.

სასამართლომ შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ 13 ბრალდებულის მიმართ გამოიყენა, რომელთაგან შვიდს არ ჰყავდა ადვოკატი. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიების გამოყენებას ბრალდების მხარე მხოლოდ 1 შემთხვევაში ითხოვდა. დანარჩენი 12 ბრალდებულიდან პროკურორი 1 შემთხვევაში – პატიმრობის და 11 შემთხვევაში – გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

რაც შეეხება პირად თავდებობას, სასამართლომ აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება მხოლოდ 5 შემთხვევაში გამოიყენა. აქედან ერთ ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი. აღსანიშნავია, რომ ამ

---

<sup>20</sup> 58 შემთხვევაში (69%) მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება, 12 შემთხვევაში (14%) - პირადი თავდებობა, 4 შემთხვევაში (5%) - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, 10 შემთხვევაში კი (12%) დაცვამ მოითხოვა გირაოზე უფრო მსუბუქი ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

ლონისძიების გამოყენებას ბრალდების მხარე მხოლოდ 1 შემთხვევაში ითხოვდა. დანარჩენი 4 ბრალდებულიდან პროკურორმა 1 შემთხვევაში – პატიმრობის, ხოლო 3 შემთხვევაში – გირაოს გამოყენება მოითხოვა.

საია ზემოხსენებულ შემთხვევებს დადებითად აფასებს და იმედს იტოვებს, რომ პროკურორები და სასამართლოები უფრო ხშირად იმსჯელებენ და გამოიყენებენ აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიულ სახეებს, ან, აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის არარსებობის შემთხვევაში, საერთოდ არ შეუფარდებენ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებას.

პირველი წარდგენის სხდომაზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პროკურორები მიუთითებდნენ ბრალდებულის მოხსნილ ან გაქარწყლებულ ნასამართლობაზე და მიანიშნებდნენ, რომ ეს იყო ბრალდებულის პიროვნული მახასიათებელი, კერძოდ, პირის მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ნასამართლობის, როგორც პიროვნული მახასიათებლის თაობაზე აქცენტს არ აკეთებდნენ, რაც ტოვებდა იმის შთაბეჭდილებას, რომ ბრალდებული კვლავ ნასამართლობის ქვეშ იყო. აღნიშნული კი საფრთხეს უქმნის უდანაშაულობის პრეზუმფციის უზრუნველყოფას. ამასთან, ბრალდების მხარე ხშირად არ უთითებდა, თუ რა ტიპის დანაშაულისათვის იყო ბრალდებული ნასამართლვეი. აღსანიშნავია, რომ თუ ბრალდებული ადვოკატი იყო წარმოდგენილი, მაშინ ის აკეთებდა განმარტებას, რომ ბრალდებულს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ცდილობდა კითხვების სახით აღნიშნული საკითხის გარკვევას.


მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არგუმენტი ეხება ბრალდებულის პიროვნების მახასიათებელს, მაინც დაუშვებელია მოხსნილ ან გაქარწყლებულ ნასამართლობაზე მითითება, ვინაიდან ბრალდებულის/მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების მხრიდან დაგინყებული იყოს მის მიერ წარსულში ჩადენილი საქციელი. ამასთან, მხოლოდ ზოგადად პირის ნასამართლობაზე მითითება არ არის საკმარისი და მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა იმსჯელონ და შეაფასონ, რამდენად შეიძლება ადრე ჩადენილი დანაშაულების შედარება ახალ ბრალდებასთან სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით.

ბრალდებულის წარსული ნასამართლობის გამოყენება

გამართლებული იქნება, მაგალითად, სასჯელის შეფარდების მიზნისათვის, პოტენციური დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებისათვის და, როდესაც მას გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა კონკრეტული დანაშაულის მიზნებისათვის.<sup>21</sup>

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №1



## 1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები

### 1.2.1. გირაო

გირაო აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანია, ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს გამოძიებას. გირაოს შეფარდებისას ბრალდებული იხდის კონკრეტულ თანხას იმის სანაცვლოდ, რომ გაათავისუფლდეს საქმეზე საბოლოო განაჩენის დადგომამდე. ბრალდებულს ან პირს, რომელმაც გადაიხადა გირაო მის

<sup>21</sup> ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014, გვ. 68, პარ: 100.

სასარგებლოდ, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) ან ქონებას ყადაღა ეხსნება სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმინვნით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.<sup>22</sup>

გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახის გამოყენების შემთხვევაში, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, ბრალდებულის პიროვნება, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროკურატურა არ წარმოადგენს ინფორმაციას ზემოაღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. დაცვის მხარეს არ აკისრია ამ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა.

ამდენად, გირაოს მიზანშეწონილობა და საფუძვლიანობა დამოკიდებულია მისი აუცილებლობის დასაბუთებაზე.

### **გამოვლენილი შედეგები**

ამჟამინდელი სტატისტიკა, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რაც იყო მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდებში. კერძოდ, მოსამართლეები ავტომატურად აღარ აკმაყოფილებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ და ბრალდებულს უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებენ აღკვეთის ღონისძიებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, გირაოს შეფარდების 22 (12%) გადანყვეტილება იყო დაუსაბუთებელი.

აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად აღარ გაუმჯობესებულა. ამ საანგარიშო პერიოდში გირაო შეეფარდა ბრალდებულთა 55%-ს. წინა საანგარიშო პერიოდში გირაოს გამოყენების მაჩვენებელი 52%-ს შეადგენდა. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა,


<sup>22</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.

რომ ბრალდება პატიმრობას მოითხოვდა, სასამართლომ ბრალდებულს გირაო შეუფარდა, მაგრამ გირაოს შეფარდების ყველა ასეთი შემთხვევა არ ყოფილა დასაბუთებული.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული იყო იმ საქმეების 29%-ში, რომლებშიც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა (188 ბრალდებულიდან 55 პირის მიმართ). აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ საქმეთა მხოლოდ 24%-ში გამოიყენა გირაო, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, როდესაც სასამართლომ გამოიყენა გირაო პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, დაფიქსირდა 2014 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში (34%).

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, გირაოს გამოყენების მაჩვენებლებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №2




მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ ბრალდებულთა 43%-ის მიმართ (350 ბრალდებულიდან 149 ბრალდებულის მიმართ) გირაოს გამოყენება მოითხოვა. მოთხოვნილი გირაოს პროცენტული მაჩვენებელი თითქმის იგივეა, რაც წინა საანგარ-

იშო პერიოდში (42%). აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილი 149 გირაოდან სასამართლომ 125 (84%) შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ხოლო, აქედან 104 (83%) შემთხვევაში – შეამცირა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა. 24 (16%) შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა გირაოს შეფარდების შესახებ, საიდანაც 10 (42%) შემთხვევაში ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, 11 (46%) შემთხვევაში შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 3 (13%) შემთხვევაში – პირადი თავდებობა. აღნიშნული შემთხვევები დადებით შეფასებას იმსახურებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში პროკურორის მიერ მოთხოვნილ გირაოზე უფრო ნაკლები ოდენობის გირაოს შეფარდების სტატისტიკურ მონაცემებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №3



მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში გირაოს სახით შეფარდებული მაქსიმალური თანხა შეადგენდა 20.000 ლარს, ხოლო მინიმალური – კვლავ 1.000 ლარია.

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, გარკვეული ხარვეზები ფიქსირდება გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით.



გირაოს დაკისრება აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა იყოს პროპორციული და დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გირაო უნდა იყოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის, ასევე, სავარაუდო დანაშაულის პროპორციული და დასაბუთებული. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი გარემოების ანალიზი, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს შეფარდებული გირაო. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება შეფარდებული თანხის გადახდა, გირაო უნდა შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი გირაოს შეფარდება, ფაქტობრივად, პირის პატიმრობას შეიძლება უდრიდეს.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ გირაოს ოდენობა იყოს რეალური, რომლის გადახდის შესაძლებლობა ბრალდებულს, მისი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, გააჩნია. ასევე, მას უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, კერძოდ, ბრალდებულს აღნიშნული ქონების დაკარგვა უნდა უქმნიდეს მნიშვნელოვან ქონებრივ დანაკლისს, რის გამოც შეეცდება, შეასრულოს გირაოს პირობები. შესაბამისად, მცირე ოდენობით განსაზღვრისას, გირაო ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, ხოლო ზედმეტად დიდი ოდენობის განსაზღვრისას, მის გამოყენებას ექნება ფორმალური ხასიათი<sup>23</sup> და, რეალურად, შესაძლოა, უდრიდეს პატიმრობას.


მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, წინა პერიოდთან შედარებით, გაიზარდა დაუსაბუთებელი გირაოების რაოდენობა. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ გამოტანილი 180 გადაწყვეტილებიდან, საიას აზრით, 22 გადაწყვეტილება (12%) იყო ცალსახად დაუსაბუთებელი, რაც წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით ორმაგად არის გაზრდილი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შედეგებს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

---

<sup>23</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 577-578.

დიაგრამა №4



საია მიიჩნევს, რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც:

- მოსამართლეები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების განაწყვეტილებას იღებენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ მდგომარეობას და საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საზიანოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი.
- ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევებში, მოსამართლეებს არ გამოუკვლევიათ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა.

**ქვემოთ მოცემულია დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითები:**

- პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>24</sup> გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე კატე-

<sup>24</sup> ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური

გორიის დანაშაულის ჩადენაში. პროკურორმა მის მიმართ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება 2000 ლარის ოდენობით, თუმცა, მან მიუთითა მხოლოდ ახალი დანაშაულის ჩადენისა და მონმეებზე ზემოქმედების საფრთხეზე. გაუგებარი და დაუსაბუთებელია პროკურორის არგუმენტაცია ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის ნაწილში, ვინაიდან სახეზეა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რაც დაკავშირებულია შემთხვევით ქმედებასთან. მოსაზრება, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მოტივით შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება გაუფრთხილებლობით დანაშაულთან მიმართებით, არ არის სწორი, ვინაიდან პირის მხრიდან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის წინასწარი პროგნოზირება, ბრალის თავისებურებიდან გამომდინარე, როგორც წესი, შეუძლებელია.<sup>25</sup> ასევე, დაუსაბუთებელია პროკურორის არგუმენტაცია მონმეებზე ზემოქმედების საფრთხესთან დაკავშირებით, ვინაიდან ბრალდების მხარემ არ მიუთითა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებდა მონმეებზე ზემოქმედების საფრთხეს. ამასთან, როგორც ევროპული სასამართლო მიიჩნევს, ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის შესაძლებლობები არ შეიძლება სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნეს მიღებული in abstracto. უნდა არსებობდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაამტკიცებს, რომ ბრალდებულს ექნება შესაძლებლობა, ზემოქმედება მოახდინოს მონმეებზე, გაანადგუროს მტკიცებულებები და ა.შ.<sup>26</sup> ბრალდებულს სასამართლომ შეუფარდა გირაო 1500 ლარის ოდენობით, რაც ასევე ვერ ჩაითვლება გონივრულ და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერ გადაწყვეტილებად. ბრალდებული გახლდათ ტაქსის მძღოლი, რაც იყო მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო. ასევე, ბრალდებულს ჰქონდა

---

სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

<sup>25</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 569.

<sup>26</sup> Trzaska v. Poland, no. 25792/94, para: 65 (11 July, 2000).

ჯანმრთელობის პრობლემები და ჰყავდა სრულწლოვანი უმუშევარი შვილი. წარსულში არ იყო ნასამართლევი. მან პროცესზე განაცხადა, რომ ვერ შეძლება გირაოს თანხის გადახდას. ისეთ პირობებში, როდესაც არსებობს სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებები (მაგალითად, პირადი თავდებობა) ან კონკრეტული ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესაძლებლობები, გირაოს გამოყენება ამკარად დაუსაბუთებელია. აღსანიშნავია, რომ სხვა საქმეში, რომელიც ეხებოდა სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას, პროკურორმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის გამოყენება. ბრალდების მხარემ, წინა შემთხვევის მსგავსად, მიუთითა მხოლოდ ბრალდებულის მხრიდან შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხესა და დანაშაულის სიმძიმეზე. შესაბამისად, ერთი და იგივე სიმძიმის დანაშაულისა და მსგავსი დასაბუთების მქონე საქმეებთან მიმართებით გამოყენებული იყო არათანასწორი და არაერთგვაროვანი მიდგომა. ასევე, მოცემულ საქმეში პირადი თავდებობის გამოყენება ადასტურებს, რომ შესაძლებელია გირაოზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც იყოს მიღწეული აღკვეთის ღონისძიების მიზნები.

- პირს ბრალი ედებოდა სხვისი ნივთის დაზიანებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორმა მოითხოვა ბრალდებულის მიმართ გირაოს შეფარდება 2000 ლარის ოდენობით. ბრალდების მხარემ პროცესზე განაცხადა, რომ ბრალდებულის მიმართ მიმდინარეობდა 2 საქმის წარმოება – ერთი ბათუმის საქალაქო სასამართლოში და მეორე თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა, არ დაუკონკრეტებია ის დანაშაულები, რასთან დაკავშირებითაც წარმოებდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. **პროკურორის არგუმენტაციით, იმ საქმეზე, რომელზეც პატიმრობა იყო გამოყენებული, განხილვა მალე სრულდებოდა და, შესაძლოა, პირი გათავისუფლებულიყო პატიმრობიდან, ამიტომ აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენება იყო საჭირო.** იმავდროულად, პროკურორმა განაცხადა, რომ ბრალდებული იყო აგრესიული და არ აუნაზღაურებია ის ზიანი, რაც დაზარალებულს მიადგა. ბრალდებას თავისი მოთხოვნის და-

სასაბუთებლად არც ერთი რეალური არგუმენტი არ წარმოუდგენია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს შეუფარდა გირაო 1500 ლარის ოდენობით, რაც აშკარად დაუსაბუთებელია და მოკლებულია გონივრულობის საფუძვლებს. საგულისხმოა, რომ ბრალდებულის მიმართ სხვა საქმეზე გამოყენებული იყო პატიმრობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განაცხადა, რომ სახელმწიფომ აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას უნდა დააკონკრეტოს ის დანაშაული (ქმედებები), რის გამოც პირის მიმართ ხორციელდებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა, მითუმეტეს, თუ პირის ბრალდება არ დადასტურებულა სასამართლო ხელისუფლების მიერ. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ და შეაფასონ, რამდენად შეიძლება ადრე ჩადენილი დანაშაულების შედარება ახალ ბრალდებასთან სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით.<sup>27</sup>

- პირს ბრალი ედებოდა ფალსიფიკაციაში, კერძოდ, მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლაში, ჩადენილი ანგარებით, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის. ასევე, ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის რეალიზებაში. დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატებოდა იმაში, რომ სანარმოს დირექტორი სათანადო წესების დაუცველად რეალიზაციას უკეთებდა თევზს, კერძოდ, იგი არ ატარებდა სადეზინფექციო სამუშაოებს და ლაბორატორიულ კვლევებს. პროკურორმა მოითხოვა გირაოს გამოყენება 20 000 ლარის ოდენობით. ბრალდების მხარეს თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად არ წარმოუდგენია რელევანტური არგუმენტები და მხოლოდ ფორმალურად მიუთითა დანაშაულის სიმძიმესა და, მოსალოდნელი სასჯელის შიშით, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე. მართალია, ჩადენილია მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ პროკურორმა უნდა დაასაბუთოს ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც ხელს შეუშლის აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. პროცესზე გაირკვა, რომ ბრალდებული ყოველთვის თანამშრომლობდა გა-

<sup>27</sup> Popkov v. Russia, no. 32327/06, para: 60 (15 May, 2008).

მოძიებასთან. იგი წარსულში არასოდეს ყოფილა ნა-სამართლევი და სასამართლოზეც არ გამოვლენილა ისე-თი ფაქტი, რომ ვინმეს პრეტენზია ჰქონოდა პროდუქტის მოხმარებასთან დაკავშირებით. ამაზე დაყრდნობით, ბრალდებული მოითხოვდა გირაოს მინიმალური თანხის შეფარდებას, ვინაიდან მას არ გააჩნდა საკმარისი სახს-რები აღნიშნული თანხის გადასახდელად. მიუხედავად ამისა, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა აღნიშნუ-ლი შუამდგომლობა და ბრალდებულს დააკისრა 20 000 ლარის გადახდა ისე, რომ მისი ფინანსური მდგომარეო-ბა არ გაუთვალისწინებია. გარდა ამისა, პროკურორის თქმით, ბრალდებულს რაიმე ქონება არ უფიქსირდებოდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მან მაინც მოითხოვა გირაოს დიდი ოდენობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სა-სამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარ-ტა, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შე-ფასდეს პირის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირთან, რომელიც უზრუნველყოფს გირაოს გადახდას.<sup>28</sup> გირაოს ოდენობის განსაზღვრისას იგივე გულმოდგინება ეკის-რება სახელმწიფოებს, როგორც აღკვეთის სახით პატიმ-რობის აუცილებლობის გადაწყვეტისას.<sup>29</sup>

- პირს ბრალი ედებოდა ტრანსპორტის მოძრაობის უსა-ფრთხოების წესების დარღვევაში, რამაც გამოიწვია ჯან-მრთელობის მძიმე დაზიანება. აღნიშნული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს და სასჯელად ითვალისწინებს ჯარიმას, თავისუფლების შეზღუდვას 5 წლამდე ვადით, თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე ვადით ან თანამდებობის დაკავების ანდა საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სამ წლამდე ვადით. პროკურორი ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების სახით გი-რაოს გამოყენებას 2000 ლარის ოდენობით, თუმცა, მას არ მიუთითებია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არცერთი საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართ-ლოს არ მოუსმენია ბრალდების მხარისგან შესაბამისი დასაბუთება, მან სრულად დააკმაყოფილა პროკურორ-

<sup>28</sup> Neumeister v. Austria, no. 1936/63, para: 18(27 June, 1968 ); Iwanczuk v. Poland, no. 25196/94, Para: 66-70 (15 November, 2001).

<sup>29</sup> Iwanczuk V. Poland, no. 25196/94, Para: 66-70 (15 November, 2001).

ის შუამდგომლობა. აღნიშნული გადაწყვეტილება ცალსახად დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლომ ავტომატურად დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა.

### **1.2.1.1. დაუსაბუთებელი გირაოს შემთხვევები ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით**

სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე პრიმა მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალადობა, სისტემური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, გვაძლევს ოჯახში ძალადობის შემადგენლობას. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე განხილული 5 ოჯახში ძალადობის შემთხვევიდან, სამ ბრალდებულს (60%) სასამართლომ შეუფარდა გირაო მინიმალური ოდენობით, რასაც, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ ექნებოდა შემაკავებელი ეფექტი. ამასთან, მოცემული გადაწყვეტილებები გირაოს შეფარდების თაობაზე იყო აშკარად დაუსაბუთებელი.

ეს საქმეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების გახშირებისა და სიმწვავის გამო, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობის ან არასათანადო რეაგირების შედეგად, მათი გარდაცვალება მოჰყვა. ამ გადაწყვეტილებებით მოსამართლემ პოტენციური საფრთხე შეუქმნა ძალადობის მსხვერპლი ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სასამართლომ ადეკვატურად არ შეაფასა არსებული შემთხვევები, ზოგადად განიხილა აღკვეთის ღონისძიების მიზნები და ყურადღება არ მიაქცია ჩადენილი დანაშაულების სპეციფიკასა და სენსიტიურობას.

### **ქვემოთ მოცემულია დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითები ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით:**

- პირს ბრალი ედებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობის ჩადენაში, კერძოდ, ბრალდებულმა ხელი გაართყა ყოფილ მეუღლეს სახეში და მობილური ტელეფონი ჩაართყა თვალის არეში, რის გამოც დაზარალებულმა მიიღო ფიზიკური დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. პროკურორმა მოითხოვა გირაოს გამოყენება 2000

ლარის ოდენობით და დაასაბუთა მისი გამოყენების მიზანშეწონილობა. როგორც სასამართლო პროცესიდან გაირკვა, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა. აგრეთვე, ბრალდებული 2007 წლიდან მუშაობდა ძალოვან სტრუქტურაში. თავდაპირველად, გამოცემულ იქნა ოქმი, რომელიც პოლიციამ შეადგინა შემთხვევის ადგილზე, თუმცა, შემდეგ, ბრალდებულის მხრიდან ძალადობრივი ქმედებების გაგრძელების გამო, გამოიცა შემაკავებელი ორდერიც, მაგრამ ამ მექანიზმმაც ვერ შეძლო ბრალდებულის შეჩერება. აღნიშნულის საპასუხოდ, ადვოკატმა განაცხადა, რომ, მართალია, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა, მაგრამ არ არსებობდა კონფლიქტის გამწვავების საფრთხე. მან აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ მორიგებით დასრულდა სამოქალაქო დავა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარემ მოითხოვა პირადი თავდებობის გამოყენება. მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, საია მიიჩნევს, რომ მოსამართლის აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის ადეკვატური და რელევანტური ბრალდებულის მიერ ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით. დაკისრებული გირაოს ოდენობას ვერ ექნება შემაკავებელი ეფექტი. ბრალდებულს გააჩნია რეალური ბერკეტი, კვლავ იძალადოს ყოფილ მეუღლეზე. ამასთან, მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ღონისძიებები არ აღმოჩნდა ეფექტური, შესაბამისად, კვლავ არსებობდა დანაშაულებრივი ქმედებების გაგრძელების საფრთხე. საგულისხმოა, რომ ბრალდებულმა აღნიშნული ძალადობა განახორციელა სწორედ სამოქალაქო დავის დასრულების შემდეგ, რაც ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტური სიტუაცია ვერ შეაჩერა სამოქალაქო დავის მორიგებით დამთავრებამ.

- პირს ბრალი ედებოდა ოჯახში ძალადობის ჩადენაში, კერძოდ, მან ყოფილ მეუღლეს ქუჩაში მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და სახეში ძლიერად გაარტყა ხელი. პროკურორმა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა და საკმაოდ კარგად გაამყარა თავისი შუამდგომლობა. პროცესიდან გაირკვა, რომ კონფლიქტის გამო



საპატრულო პოლიცია ადრეც რამდენჯერმე იყო გამო-  
ძახებული. ბრალდებულის მიმართ გამოცემული იყო  
შემაკავებელი ორდერი, თუმცა, ამან ვერ უზრუნველყო  
მისი სათანადო ქცევა. ირკვეოდა, რომ მიზეზი, რის გამოც  
დანაშაული მოხდა, კვლავაც არ იყო აღმოფხვრილი. ამ  
ყველაფრის საპასუხოდ, ბრალდებულმა განაცხადა, რომ  
იყო დასაქმებული და ჰქონდა კერძო ბიზნესი, წარსულში  
არასოდეს ყოფილა ნასამართლევი და სურდა მეუღლეს-  
თან შერიგება. მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარ-  
და გირაო 1000 ლარის ოდენობით, რასაც ვერ ექნებოდა  
შემაკავებელი ეფექტი, ვინაიდან რეალურად არსებობ-  
და დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების საფრთხე,  
კერძოდ, ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობის კვავ  
გამეორების ალბათობა. ბრალდებული არ არის საქა-  
რთველოს მოქალაქე, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი  
არ აქვს საქართველოში და მოცემულ საქმეზე მონმეები  
არიან ბრალდებულის შვილები. ამასთან, ბრალდებულის  
ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაკის-  
რებული გირაოს თანხა ვერ უზრუნველყოფდა აღკვეთის  
ლონისძიების მიზნების მიღწევას.

- პირს ბრალი ნაუყენეს ოჯახში ძალადობის ჩადენის ფაქ-  
ტზე. ბრალდებულმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცენა  
მეუღლეს, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა  
ფიზიკური ტკივილი. პროკურორმა მოითხოვა გირაოს გა-  
მოყენება 3000 ლარის ოდენობით, თუმცა, სასამართლომ  
ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდ-  
გომლობა და ბრალდებულს შეუფარდა 1000 ლარი გი-  
რაოს სახით, რომლის ოდენობაც ვერ ჩაითვლება აღკვე-  
თის ღონისძიების მიზნების განხორციელების ეფექტურ  
მექანიზმად, ვინაიდან ბრალდებულის მხრიდან ადრეც  
ჰქონდა ადგილი მეუღლის ფიზიკურ შეურაცხყოფას.  
ასევე, არსებობდა მონმეებზე ზემოქმედების აშკარა სა-  
ფრთხე, რადგანაც ერთ-ერთი მონმე იყო ბრალდებულის  
ქალიშვილი, რომელმაც მამის წინააღმდეგ მისცა ჩვენება.  
მონმეთა სიაში შედიოდნენ ბრალდებულის მეზობლებიც.  
გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბრალდებული  
და დაზარალებული კვლავ ერთად ცხოვრობდნენ. პრო-  
ცესზე მოსამართლემ გამოარკვია, რომ ბრალდებული  
ხშირად გადაადგილდებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ  
ტურისტული და დასვენების მიზნით. ამჟამადაც ზღვაზე

აპირებდა წასვლას. აღნიშნული კი მიუთითებს ბრალდებულის მაღალ ფინანსურ შესაძლებლობაზე.

### 1.2.1.2. დაკავების კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავება, ბრალდებული გაათავისუფლა სასამართლო სხდომის დარბაზიდან და შეუფარდა გირაო მაშინ, როდესაც პროკურატურა მის პატიმრობაში დატოვებას ითხოვდა. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შემთხვევა მონიტორინგის დასაწყისიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი) უკვე მესამედ დაფიქსირდა. საია მიესალმება მსგავს პრეცედენტებს და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მოსამართლეები უფრო ხშირად გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას, შესაბამისად, ბრალდებულს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დატოვებენ პატიმრობაში. ხშირ შემთხვევაში მოსამართლეები არ ცდილობდნენ, დეტალურად გამოეკვლიათ პირის დაკავების საფუძვლიანობა, ამიტომ საიას მონიტორები ვერ ახდენდნენ იმის იდენტიფიცირებას, ბრალდებული რა წესით იყო დაკავებული – სასამართლოს წინასწარი ნებართვით თუ გადაუდებელი აუცილებლობით. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოსამართლეები მხოლოდ ზოგადად ეკითხებოდნენ ბრალდებულს დაკავების პროცედურის კანონიერებასთან დაკავშირებულ გარემოებებზე და მხოლოდ მაშინ ამახვილებდნენ ყურადღებას დაკავების საფუძვლიანობაზე, თუ დაცვის მხარე აკეთებდა ამაზე აქცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის მხარე იშვიათ შემთხვევაში ინტერესდებოდა ზემოხსენებული საკითხით.

აღსანიშნავია, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლე ვალდებულია, შეამოწმოს დაკავების კანონიერება იმისდა მიუხედავად, მხარე სადავოდ ხდის თუ არა ამ საკითხს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადანყვეტილებაში განმარტა, რომ სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს არა მხოლოდ დაკავების შესაბამისობა ეროვნული კანონმდებლობის პროცედურულ წესებთან, არამედ უნდა გამოარკვიოს იმ ეჭვის საფუძვლიანობა, რომელიც გახდა პირის დაკავების საბაზი და შეამოწმოს დაკავების მიზნის კანონიერება.<sup>30</sup>

<sup>30</sup> Nikolaishvili v Georgia, no.37048/04, para: 92 (13 January, 2009); Brogan and others v

## დაკავების ოქმის უკანონოდ ცნობისა და ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდების შემთხვევები

- 2 პირს ბრალი ედებოდა სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ. პროკურორი მოითხოვდა ორივე ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას. ამის საწინააღმდეგოდ, დაცვამ განაცხადა, რომ არ არსებობდა პატიმრობის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან დაკავება არ იყო კანონიერი და საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისი. მოსამართლემ პროკურორს გამოჰკითხა დაკავების გარემოებები. როგორც პროცესიდან გაირკვა, ბრალდებულები დაიბარეს პოლიციის განყოფილებაში შანდლების ქურობის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა, განყოფილებაში მისვლის შემდეგ მათ აღიარეს სულ სხვა ქმედების ჩადენა, კერძოდ, წყლის მიღების ქურობა, რასთან დაკავშირებითაც პროკურატურა არ ფლობდა ინფორმაციას. სწორედ ბრალდებულთა აღიარების შემდეგ დააკავეს ისინი გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, ვინაიდან, პროკურორის განმარტებით, არსებობდა მიმალვის საფრთხე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლემ სრულყოფილად განახორციელა თავისი მოვალეობა, ბრალდებულებს შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით და უკანონო პატიმრობიდან გაათავისუფლა. მიუხედავად მოსამართლის ეფექტური რეაგირებისა დაკავების კანონიერების ნაწილში, გირაოს სახით დაკისრებული თანხა არ იყო დასაბუთებული. როგორც პროცესიდან გაირკვა, ერთ-ერთი ბრალდებული იყო სოციალურად დაუცველი, ჰყავდა 2 მცირეწლოვანი შვილი, იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, მის მეუღლეს ჰქონდა ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები და ნამღების საყიდელი ფულიც არ გააჩნდათ. ამ ყველაფრის ფონზე, მოსამართლემ არ მიიღო მხედველობაში ბრალდებულის მძიმე ფინანსური მდგომარეობა და არ გაითვალისწინა ადვოკატის შუამდგომლობა 2000 ლარის შეფარდებასთან დაკავშირებით.

---

the UK, no. 11386/85, para: 65 (29 November, 1988); Navarra v. France, no. 13190/87, para: 28 (23 November, 1993).

- პირს ბრალი ედებაოდა ქურდობაში. პროკურორმა მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და მიუთითა ბრალდებულის ნასამართლობაზე, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესა და მტკიცებულებების განადგურებაზე. მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რა გახდა გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების საფუძველი, პროკურორმა უპასუხა, რომ ბრალდებულმა პირობითი მსჯავრის მოქმედების დროს ჩაიდინა დანაშაული და რომ გააცნობიერებდა მოსალოდნელ მძიმე სასჯელს, ეცდებოდა მიმალვას. მოსამართლემ დამატებით ჰკითხა პროკურორს, საიდან იცოდა, რომ ბრალდებული გააცნობიერებდა მოსალოდნელ მძიმე სასჯელს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი პირის დასაკავებლად, ვინაიდან ბრალდებული თავისი ფეხით გამოცხადდა პოლიციის ორგანოში, როდესაც დაიბარეს. როგორც სხდომაზე გაირკვა, პროკურორს არ ჰქონდა შემონიშნული, ცხადდებოდა თუ არა ბრალდებული პრობაციის ბიუროში კანონით დადგენილი წესით და მისი მხრიდან ფიქსირდებოდა თუ არა რაიმე დარღვევა. ამის შემდეგ მოსამართლემ კითხვების სახით გამოარკვია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, უკანონოდ მიიჩნია პირის დაკავება, შეუფარდა გირაო, ვინაიდან არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები და ბრალდებული დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სხდომათა დარბაზიდან.

### **დაკავების ოქმის უკანონოდ ცნობისა და გირაოს გამოყენების დადებითი მაგალითი**

პირს ბრალი ედებაოდა მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის შეშლაში, რაც გამოიხატა მონმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში. პროკურორმა მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და ზოგადად მიუთითა აღკვეთის ღონისძიების საფუძვლებზე. მოსამართლემ დეტალურად გამოიკვლია გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული დაკავების კანონიერების საკითხი. ასევე, მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა პროკურორის მიერ მითითებულ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არგუმენტებზე და გამოარკვია ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უკანონოდ ცნო პირის დაკავების ოქმი, არ დააკმაყოფილა პროკურორის

შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენებაზე და პირს შეუფარდა გირაო 3000 ლარის ოდენობით.

### 1.2.2. პატიმრობა

პატიმრობა წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების აღნიშნული ზომის გამოყენება, ბრალდების საბოლოო დამტკიცებამდე, პიროვნების თავისუფლების უფლებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.

თავისუფლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მიხედვით, ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშემშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. ამასთან, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, ანუ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა საქმეზე არსებობდეს საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების გარკვეული საფუძველი, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს კონკრეტული შემთხვევის თითოეული გარემოება. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა შესაძლებელია გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის სპეციალური ნიშნები, რომლებიც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნებს.<sup>31</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში, პერიოდულად გადასინჯოს პატიმრობის კანონიერება, ხოლო ასეთი შუამდგომლობის განხილვაზე უარი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ქრილში განიხილება.

<sup>31</sup> Labita v. Italy, no. 26772/95, para: 152 (6 April, 2000).

საია დადებითად მიიჩნევს 2015 წლის 8 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვასთან დაკავშირებით. სსკ-ის 230<sup>1</sup>-ე პრიმა მუხლის მიხედვით, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე, თავისი ინიციატივით, პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ერთ-ერთ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სასამართლოებმა გარკვეული პერიოდულობით უნდა გადახედონ იმ პირების საქმეებს, რომლებსაც პატიმრობა აქვთ შეფარდებული და უზრუნველყონ მათი გათავისუფლება სათანადო საფუძვლების არსებობისას.<sup>32</sup> ამასთან, ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოებები, შეიცვალა თუ არა ვითარება, რის გამოც მან თავდაპირველად დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღო. მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიას მონიტორებმა დააფიქსირეს რამდენიმე შემთხვევა, როცა მოსამართლემ გამოიყენა ზემოაღნიშნული წესი პატიმრობის გადასინჯვასთან დაკავშირებით, თუმცა, მოსამართლემ ყველა განხილულ შემთხვევაში ძალაში დატოვა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება. **მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვისწავლია, რამდენად სწორად მოიქცა სასამართლო, არსებული სტატისტიკა ბადებს ეჭვებს, რომ მოსამართლეები ფორმალურად უდგებიან პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვის საკითხს.** აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ პატიმრობის გადასინჯვის პროცედურასთან მიმართებით დაფიქსირდა მოსამართლეთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლე, განწყვეტილების მიღებამდე, მხარეებისაგან ისმენდა დასაბუთებას პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო სხვა შემთხვევებში, მოსამართლე არ ეკითხებოდა მხარეებს მოსაზრებას და დამოუკიდებლად წყვეტდა აღნიშნულ საკითხს, რაც ასევე ძალიან ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

საია იმედოვნებს, რომ მომავალში მოსამართლეები უფრო დეტალურად გამოიკვლევენ არსებულ ვითარებასა და პატიმრობის ძალაში დატოვების საფუძვლებს, რადგან პატიმრობის ვადის

<sup>32</sup> I.A. v. France, no. 1/1998/904/1116, para: 111 (23 september, 1998).


გახანგრძლივება უფრო მყარ და რელევანტურ არგუმენტებს მოითხოვს მის გასამართლებლად.

### **გამოვლენილი შედეგები**


პირველ განხილვაზე წარმოდგენილი 350 ბრალდებულიდან პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა 188 შემთხვევაში (54%). აქედან სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა 130 შემთხვევაში (69%) დააკმაყოფილა.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს ამ მიმართულებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №5



დიაგრამა №6




წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, თითქმის უმნიშვნელოა ცვლილება სასამართლოს მიერ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობების დაკმაყოფილების კუთხით. ამ მხრივ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წლის იანვარი-აგვისტოს საანგარიშო პერიოდში.

ერთი შეხედვით, გაუარესებული მდგომარეობა დაფიქსირდა ამ პერიოდში პატიმრობის დასაბუთებულობასთან მიმართებით. პატიმრობის შეფარდების 130 შემთხვევიდან, საიამ 16 (12%) მიიჩნია ცალსახად დაუსაბუთებლად, ვინაიდან პროკურატურას არ ჰქონდა საკმარისი არგუმენტები. საუბრობდნენ აბსტრაქტულ საფრთხეებზე და არ უთითებდნენ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეუძლებელი იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა. ასევე, თავად მოსამართლეებიც არ ცდილობდნენ, უფრო მეტი ძალისხმევა გამოეჩინათ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას. **აღსანიშნავია, რომ დაუსაბუთებელი პატიმრობის მაჩვენებელი ოთხჯერ აღემატება წინა საანგარიშო პერიოდში არსებულ მონაცემებს (3%).**

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს.





**ქვემოთ მოცემულია დაუსაბუთებელი პატიმრობის მაგალითები**

- პირს ბრალი ედებოდა სასამართლოს უპატივცემლობაში, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფაში. აღნიშნული ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოს დაკისრებით – ერთიდან ორ წლამდე ვადით ან/და თავისუფლების აღკვეთით – 2 წლამდე ვადით. პროკურორმა მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და მიუთითა, რომ პირს ბრალი ედებოდა სხვა მიმე დანაშაულის ჩადენაში, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა საქმის განხილვა. ასევე, ფორმალურად ახსენა არსებული სასჯელის შიშით მიმალვის საფრთხე, თუმცა, აღნიშნული არ განუხილავს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა, რაც იყო აშკარად დაუსაბუთებელი. სასამართლოს არ შეუფასებია, რამდენად სერიოზული და რელევანტური იყო წარსულში არსებული ბრალდება და მომხდარი ფაქტები ამჟამინდელ პროცესებთან მიმართებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი, რაც კიდევ უფრო ამცირებს საკუთარი უფლებების ეფექტურად დაცვის შესაძლებლობას. ადამიანის უფლე-

ბათა ევროპული სასამართლო ცალსახად განსაზღვრავს, რომ წინასწარი პატიმრობა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გონივრული და აუცილებელი.<sup>33</sup> რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს, მართალია, ეს არის პირისათვის პატიმრობის შეფარდების მნიშვნელოვანი საფუძველი, მაგრამ თავისთავად, მხოლოდ მიმალვის საფრთხეზე მითითება არ შეიძლება ამართლებდეს თავისუფლების აღკვეთას. საჭიროა დამტკიცდეს, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ფაქტორი კონკრეტულ გარემოებებში. ამასთან, ბრალდების მხარემ უნდა წარმოადგინოს პირის მიმალვის განზრახვის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულება. მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების საფრთხე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით.<sup>34</sup>

- პირს ბრალი ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში. პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას მიუთითა მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეზე, თუმცა, ვერ დაასახელა კონკრეტული არგუმენტი, რომელიც ასეთი საფრთხის არსებობას დაადასტურებდა. ასევე, ზოგადად მიანიშნა სასჯელის შიშით მიმალვის შესაძლებლობაზე. დაცვის მხარე ითხოვდა გირაოს გამოყენებას 3000 ლარის ოდენობით. სასამართლომ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა, მაშინ როდესაც, თუნდაც უფრო დიდი ოდენობის გირაო იქნებოდა სავსებით საკმარისი შემაკავებელი ხასიათის ღონისძიება.

## **დაუსაბუთებელი პატიმრობის მაგალითი ერთ-ერთ განმაურებულ საქმეზე**

ერთ-ერთ განმაურებულ საქმეში, რომელიც ეხებოდა ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტთან მომხდარ შემთხვევას,<sup>35</sup> სასამართლომ სამივე ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა.

<sup>33</sup> Pacuria v. Georgia, no. 30779/04, para: 62-65 (6 November, 2007).

<sup>34</sup> W. v. Switzerland, no. 14379/88, para: 33 (26 January, 1993).

<sup>35</sup> 2015 წლის 2 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები დეპუტატ დავით ლორთქიფანიძისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ბრალდებით დააკავეს.

კახაბერ გაბუნიასა და ნიკოლოზ ნარსიას ბრალად ედებოდათ ხულიგნობა წინასწარი შეთანხმებით, ჩადენილი ჯგუფის მიერ, ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ, ხოლო მირიან დეისაძეს დამატებით წარდგენილი ჰქონდა ცემის ბრალდება. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე ყველა მსურველის დასწრება არ იყო შესაძლებელი დარბაზის სიმცირის გამო. მიუხედავად მოთხოვნისა, სხდომა ჩატარებულიყო შედარებით დიდ დარბაზში, რომელიც იმ დროისათვის თავისუფალი იყო, არ დაკმაყოფილდა. ბრალდების მხარემ სამივე ბრალდებულის მიმართ მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და მიუთითა სახელმწიფო საზღვრის რამდენჯერმე გადაკვეთის ფაქტზე, ასევე, ზოგადად ახსენა მონქებზე ზემოქმედებისა და მოსალოდნელი სასჯელის შიშით სასამართლოში გამოუცხადებლობის საფრთხე. ამის საპასუხოდ, დაცვის მხარემ განმარტა, რომ ბრალდებულები წარსულში არ არიან წასამართლევები. ამასთან, მართალია, ბრალდებულები ხშირად კვეთდნენ სახელმწიფო საზღვარს, მაგრამ ეს ხდებოდა კანონიერად და ისინი უკანვე ბრუნდებოდნენ. დამატებით აღნიშნეს, რომ ბრალდებულები გამოძიებას არ მიემალნენ და მათი დაკავება მოხდა საცხოვრებელი სახლიდან და საჯარო ადგილებიდან. ამ ყველაფრის ფონზე, დაცვამ მოითხოვა პირადი თავდებობის გამოყენება და სასამართლოს დამატებით შესთავაზა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პასპორტის ჩაბარება.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და სამივე ბრალდებულის მიმართ გამოიყენა პატიმრობა. საიამ გამოითხოვა სასამართლოს განჩინება, რომელიც ცალსახად დაუსაბუთებელია. სასამართლო ზოგადად უთითებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებზე და არ საუბრობს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე. არ საუბრობს კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებს აღკვეთის ღონისძიების მიზნების შეუსრულებლობის საფრთხეებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულები ხშირად კვეთდნენ სახელმწიფო საზღვარს, მიმალვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყოველთვის არ არის აუცილებელი პატიმრობის გამოყენება, ვინაიდან აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ბრალდებულისათვის საქართველოს ეროვნული პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევით.<sup>36</sup> უფრო მეტიც, მოცემულ

<sup>36</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 595.

შემთხვევაში, ბრალდებულთა მხრიდან არ დაფიქსირებულა საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის ფაქტები, რაც ადასტურებს, რომ სამგზავრო დოკუმენტების ჩამორთმევა შეძლებდა მიმალვის საფრთხის ნეიტრალიზაციას. მიგვაჩნია, რომ სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაც ეფექტურად შეძლებდა ბრალდებულების სათანადო ქცევის უზრუნველყოფას.<sup>37</sup>

### 1.2.3. პირადი თავდებობა

პირადი თავდებობის გამოყენებისას, სანდო პირები კისრულობენ ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევასა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სამართლოში გამოცხადებას.

მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში გამართულ პირველი წარდგენის სხდომაზე პირადი თავდებობა გამოყენებულ იქნა 5 ბრალდებულთან მიმართებით. აქედან, პროკურორმა მხოლოდ 1 შემთხვევაში მოითხოვა აღნიშნული ღონისძიების შეფარდება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. 12 შემთხვევაში კი, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა პირადი თავდებობის შეფარდების მოთხოვნით. სასამართლომ მხოლოდ 4 (33%) შემთხვევაში გაითვალისწინა დაცვის მხარის ინტერესები.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასაწყისიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი) მეორედ დაფიქსირდა შემთხვევა, როცა პირადი თავდებობის გამოყენება თავად პროკურორმა ითხოვა.

### 1.2.4. შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებული იყოს აღკვეთის ღონისძიების სახით, თუ პირს ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც არ

---

<sup>37</sup> აღნიშნული საქმეს სახალხო დამცველის აპარატიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პარლამენტთან გამართული აქციის მონაწილეებისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება არის დაუსაბუთებელი და აჩენს ეჭვებს შემთხვევითი მართლმსაჯულების შესახებ. იხ: <http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-qutaisshi-parlamentan-gamartul-aqciazedakavebuli-pirebis-shefaxeb.page>, [3.02.2016].

ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით.<sup>38</sup> ამ საანგარიშო პერიოდში 72 ბრალდებულის მიმართ არსებობდა აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო წინაპირობები, კერძოდ, ბრალად წარდგენილი მუხლი არ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით. აღნიშნული 72 შესაძლო შემთხვევიდან სასამართლომ 13 (18%) შემთხვევაში მიიჩნია მიზანშეწონილად ამ ღონისძიების გამოყენება.

წინა მონიტორინგის პერიოდში, სასამართლომ 85 შესაძლო შემთხვევიდან 23 (27%) შემთხვევაში გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელი მკვეთრად შემცირებულია (18%). წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 27%-ს შეადგენდა.

საია იმედოვნებს, რომ სასამართლოები მომავალში უფრო ხშირად გამოიყენებენ ამ ღონისძიებას ყველა შესაბამის შემთხვევაში, როცა იარსებებს მისი შეფარდების საკანონმდებლო და ფაქტობრივი საფუძვლები.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული აღკვეთის ღონისძიება 13-დან 10 შემთხვევაში გამოყენებული იყო პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება-შექმენა-შენახვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების დანაშაულთა საქმეებზე. ერთ შემთხვევაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულს შეეფარდა ცემის ფაქტზე, ხოლო დანარჩენ 2 შემთხვევაში – ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როცა პროკურორმა თავად მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება.

---

<sup>38</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 202.

## **გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენების დადებითი მაგალითი**

პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში (სსკ-ის 273-ე მუხლი). პროკურატურამ მოითხოვა გირაოს გამოყენება 2000 ლარის ოდენობით. დასაბუთებისას მიუთითა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაზე, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას. აღნიშნულ საქმეში მოსამართლემ სრულყოფილად განახორციელა თავისი მოვალეობა – ბრალდებულს დაუსვა შეკითხვები ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და გაარკვია, რომ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მან ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული 500 ლარიც ვერ გადაიხადა. შედეგად, მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარდა შეთანხმება სათანადო ქცევის და გაუსვლელიობის შესახებ.

### **1.3. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების სტანდარტები სასამართლოს განჩინებების მიხედვით**

საკითხის უკეთ განხილვისა და შესწავლის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან, საჯარო ინფორმაციის სახით, დამატებით გამოვითხოვეთ განჩინებები ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>39</sup> შედეგად, სასამართლოდან მივიღეთ სულ 15 განჩინება.<sup>40</sup>

### **სასამართლო განჩინებების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი საინტერესო შემთხვევები:**

- 15 განჩინება გამოტანილი იყო 18 ბრალდებულის მიმართ. აქედან, პატიმრობა შეეფარდა 8 ბრალდებულს. ასევე, 8 ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა გირაო, ხოლო 2 შემთხვევაში მოსამართლემ ბრალდებულებს შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ.
- საიას აზრით, 5 განჩინება ცალსახად დაუსაბუთებელია (აქედან, 5 ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა პა-

<sup>39</sup> საიას 2015 წლის 9 ნოემბრის №გ-04/573.15 განცხადება.

<sup>40</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბერს გამოგზავნილი პასუხი №1-01245/27391.

ტიმრობა, ხოლო ერთ ბრალდებულს შეეფარდა გირაო). პროკურორმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი არგუმენტები, რომლებიც ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას დაასაბუთებდა. ასევე, არ იყო დასაბუთებული სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან აბსტრაქტულად უთითებდა ალკვეთის ღონისძიების მიზნებზე. არ იყო სათანადოდ შეფასებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. განჩინება უმეტესად ეყრდნობოდა სტერეოტიპულ ფორმულირებებს და შეიცავდა სსსკ-ის ტერმინებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ მოთხოვნის არგუმენტაცია არ უნდა იყოს აბსტრაქტული ყველა გარემოების მხედველობაში მიღების გარეშე. ალკვეთის ღონისძიების თაობაზე გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სათანადო და საკმარის არგუმენტაციას და უნდა ეხებოდეს მოცემული საქმის სპეციფიკას. აღსანიშნავია, რომ ორ საქმეში, სადაც პატიმრობა იყო გამოყენებული, ბრალდებული იყო უცხოელი, რაც გახდა ალკვეთის ღონისძიების შეფარდების ძირითადი საფუძველი, ვინაიდან არსებობდა მიმალვის საფრთხე. თუმცა, ბრალდებულის მოქალაქეობა, თავისთავად, არ არის საკმარისი მიმალვის საფრთხის დასაბუთებისთვის.<sup>41</sup> ბრალდებულისთვის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის სიმარტივე ცალკე აღებული არ ადასტურებს მიმალვის საფრთხეს. აუცილებელია ასევე სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებაც და, მიმალვის ობიექტურ შესაძლებლობასთან ერთად, სუბიექტური განზრახვის არსებობის დამტკიცებაც.<sup>42</sup>

- ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ დაფიქსირდა ორი დადებითი შემთხვევა, როცა მოსამართლემ დეტალურად გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა 2000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით და ბრალდებულებს შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

<sup>41</sup> Aleksandr Makarov v. Russia, no. 15217/07, para: 126-128 (12 March, 2009).

<sup>42</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 594.

#### 1.4. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება

პირველი წარდგენის სხდომათა მონიტორინგმა ასევე დაადასტურა არსებული პრობლემები, რომლებიც ბრალდებულსა და საზოგადოებას ართმევს საჯარო განხილვის უფლებას, რაც განრანტირებულია ქვეყნის კონსტიტუციით,<sup>43</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით<sup>44</sup> და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.<sup>45</sup>

იმისათვის, რომ ეს უფლება ეფექტურად გამოიყენებოდეს, საკმარისი არ არის, საზოგადოებას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე დასწრების უფლება ჰქონდეს. საზოგადოებას ასევე აქვს უფლება, წინასწარ იყოს ინფორმირებული საქმის მოსმენის შესახებ, რათა შეძლოს სხდომაზე დასწრება. აქედან გამომდინარე, საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს ავალდებულებს, წინასწარ გამოაქვეყნოს პირველი წარდგენის სხდომის დრო და ადგილი, ბრალდებულის სრული სახელი და გვარი, ასევე, ის მუხლები, რომლებიც ბრალდებულს აქვს წაყენებული.

სასამართლო პროცესი საჯაროობის მოთხოვნას აკმაყოფილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას საშუალება აქვს, ადვილად მოიპოვოს ინფორმაცია მისი ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ.<sup>46</sup>

იმ პირველი წარდგენის 300 სხდომიდან, რომელთა მონიტორინგსაც საია ახორციელებდა, არც ერთის შესახებ არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია წინასწარ (226 გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, 74 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში). მართალია, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ფოიეში მანდატურები წინასწარ აცხადებდნენ სხდომის გამართვის დროსა და ადგილს, თუმცა, აღნიშნული არ წარმოადგენს სხდომის საჯაროობის უზრუნველყოფის სათანადო ღონისძიებას.

პირველი წარდგენის სხდომათა შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის პრობლემა, 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც მონიტორინგის განხორციელება დაი-

<sup>43</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი. 85.

<sup>44</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.1.

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 10.

<sup>46</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 92.



ნყო, საიას ყველა ანგარიშში აისახა. საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სიტუაცია უცვლელი რჩება. სასამართლო სისტემის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამის მიზეზი ტექნიკური შეზღუდვები იყო, რაც უკავშირდებოდა პირველი წარდგენის სხდომების ჩატარებას ბრალდებულის სასამართლოში წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ამასთან, გამოთქვამდნენ მზადყოფნას აღნიშნული ტექნიკური პრობლემების მოგვარების კუთხით. დაპირების მიუხედავად, ამ მიმართულებით დღემდე არავითარი ღონისძიება არ გატარებულა.

მონიტორინგის წინა პერიოდის განმავლობაში დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა ბათუმის საქალაქო სასამართლოც, სადაც წინასწარ ქვეყნდებოდა ინფორმაცია პირველი წარდგენის სხდომის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ მონიტორზე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადებითი მაგალითი ცხადყოფს, რომ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება, სათანადო ძალისხმევის გამოჩენის შემთხვევაში, ტექნიკურად შესაძლებელია.

## 2. წინასასამართლო სხდომები

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს, თუ საქმის განხილვა არსებითად გაგრძელდეს.<sup>47</sup> აღსანიშნავია, რომ დევნის შეწყვეტის საფუძველი არა მხოლოდ არასაკმარისი მტკიცებულებები, არამედ საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაც.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობების მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარისთვის. ბრალდებულის უფლე-

---

<sup>47</sup> სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ის ალბათობის მაღალი ხარისხით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

ბას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომები, როგორც წესი, ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას, მხარეებს ასევე შეუძლიათ, დააყენონ სხვა სახის შუამდგომლობებიც.

### **გამოვლენილი შედეგები**

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია დააკვირდა 159 პირველი წარდგენის სხდომას. მონიტორინგის წინა პერიოდისაგან განსხვავებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში, დაცვის მხარემ იშუამდგომლა, რომ დავით ჭედიას<sup>48</sup> მიმართ შეწყვეტილიყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო მხოლოდ სატელეფონო შეტყობინებები, რომლებიც რაიმე კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე არ მიუთითებდა. სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. საინტერესოა ისიც, რომ იმავე საქმეში ბრალდებულ გიორგი ღონიაშვილთან<sup>49</sup> დაკავშირებით ადვოკატმა განაცხადა, რომ არსებობდა ალბათობის მაღალი ხარისხი მისთვის ბრალის დასამტკიცებლად, ამიტომ მის მიმართ არ დააყენა შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ადვოკატის საქმისადმი გულგრილ, არაეთიკურ და არაპროფესიონალურ დამოკიდებულებაზე. პროცესზე გამოვლინდა ადვოკატის უპატივცემლობა დაცვის როლის მიმართ, რაც არღვევს კომპეტენტური და ეფექტური სასამართლო წარმომადგენლობის უფლებას.

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ წინა პერიოდისგან განსხვავებით, დაცვა უფრო გააქტიურებული იყო, მაგრამ ბრალდებასთან შედარებით კვლავ პასიური ჩანდა. დაცვის წინააღმდეგობა

<sup>48</sup> ქალაქ თბილისის მერიის „ქონების მართვის სააგენტოს“ ყოფილი უფროსი.

<sup>49</sup> გიორგი უგულავას ქვისლი, რომელიც დააკავეს ნაციონალური მოძრაობის უკანონო დაფინანსების ბრალდებით.

პროკურორის შუამდგომლობებზე, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 6%-დან 14 %-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დაცვა უფრო აქტიური იყო ე.წ. განმაურებულ საქმეებზე, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი თანამდებობის პირები<sup>50</sup> ან მათი საქმე განსაკუთრებული რეზონანსულობით გამოირჩეოდა საზოგადოებაში.<sup>51</sup>

მიუხედავად იმისა, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაცვა უფრო გააქტიურებული იყო, აღნიშნული მაჩვენებელი მაინც არ წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ შედეგს. საიას მოსაზრებით, ადვოკატთა კორპუსმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხს, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს ბრალდებულის ინტერესებს აზარალებს. სხვა მხრივ, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. სასამართლო ამჯერადაც, ძირითადად, ეთანხმებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ, ხოლო დაცვა ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობებს.

159 წინასასამართლო სხდომიდან 17 გადაიდო, 2 სხდომა კი დაიხურა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში მოსამართლემ გამოაცხადა სხდომის დახურვის შესახებ, ვინაიდან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ნუსხაში შედიოდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალები.

დარჩენილი 140 სხდომიდან, 134 (96%) შემთხვევაში პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ხოლო 6 (4%) შემთხვევაში პროკურორს არ წარუდგენია შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, ვინაიდან წინა სხდომაზე გაიმართა მტკიცებულებათა დასაშვებობის განხილვის პროცედურა. აქედან, სასამართლომ 126 (94%) შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ, 1 (0.7%) შემთხვევაში კი – ნაწილობრივ. 4 (3%) შემთხვევაში მოსამართლეს არ მიუღია გადანყვეტილება იმავე პროცესზე, ხოლო 2 (1%) შემთხვევაში – სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გადანყვეტილებას მიიღებდა. აღსანიშნავია,

<sup>50</sup> ბრალდებულები: გიორგი უგულავა, გიორგი ღონიაშვილი, ალექსანდრე გოგობია, დავით ჭედი, ბაჩანა ახალაია, მეფის ქარდავა, ნიკოლოზ დიმცეიშვილი, ჯოკია ბოდუკია, მიხეილ სააკაშვილი, დავით კეზერაშვილი, ივანე მერაბიშვილი.

<sup>51</sup> ბრალდებული გიორგი ოქროპირიძე, რომელსაც ბრალი ედება ცრუ დასმენაში.

რომ 1 (0.7%) შემთხვევაში მოსამართლემ უარი უთხრა ბრალდების მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით.

პროკურატურის 134 შუამდგომლობიდან 19-ს (14%) დაცვა არ დაეთანხმა. აღნიშნული 19 პროტესტიდან სასამართლომ 13 (68%) არ დააკმაყოფილა. ორ შემთხვევაში მოსამართლემ საქმის განხილვა გადადო და შემდეგ სხდომაზე დააკმაყოფილა დაცვის მხარის პროტესტი, 1 დააკმაყოფილა ნაწილობრივ, ხოლო 3 შემთხვევაში სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებდა.

### **ბრალდების მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მტკიცებულებათა დაუშვებლობის დადებითი მაგალითი**

პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ, შესაბამისი ცნობის საფუძველზე, გამოარკვია, რომ ბრალდებულს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები და ესაჭიროებოდა ფსიქიატრის კონსულტაცია. პროცესიდან გაირკვა, რომ გამოძიების ეტაპზე ბრალდებულს არ დაუნიშნეს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, რომ ექვემდებარებოდა სავალდებულო დაცვას. ბრალდებული ვერ ახერხებდა საქმის მასალების წაკითხვას და ვერ გადმოსცემდა ფაქტებს. აღნიშნულის მიზეზი იყო ის ფსიქიკური პრობლემები, რომლებიც ბრალდებულს ხელს უშლიდა დაცვის ეფექტურად განხორციელებაში. აღნიშნულის ფონზე მოსამართლემ დაიცვა სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები, არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე და შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან დაირღვა დაცვის სრულყოფილად განხორციელების ფუნდამენტური უფლება.

დაცვამ მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა 135-დან მხოლოდ 33 შემთხვევაში (24%).<sup>52</sup> 33-დან 18 (55%) შემთხვევაში პროკურატურა დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობებს და სასამართლომ დააკმაყოფილა ისინი. დანარჩენი

<sup>52</sup> 159 წინასასამართლო სხდომიდან 20 გადაიდო მანამ, სანამ დაცვა დააყენებდა შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. ასევე, 2 შემთხვევაში, დაცვამ, სავარაუდოდ, წინა სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით, ხოლო 2 სხდომა კი დაიხურა.

15 (45%) შუამდგომლობიდან, რომლებსაც ბრალდების მხარე არ დაეთანხმა, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა 7 (47%) მათგანი, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 4 (27%), ხოლო 4 (27%) შუამდგომლობაზე გადაწყვეტილება იმავე სხდომაზე არ მიუღია.

### **3. საპროცესო შეთანხმების სხდომები**

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, რომლის თანახმადაც, ბრალდებული ალიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებას ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

2014 წლის 24 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაუქმდა საპროცესო შეთანხმება სასჯელზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალის ალიარების გარეშე საპროცესო შეთანხმების დადება შეუძლებელი გახდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი და, თუკი მოსამართლე მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს, რომ პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლემ უნდა განიხილოს არსებული ფაქტები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა, თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების მიხედვით, შესაძლებელია აღნიშნული კრიტერიუმის დასაბუთება. მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას მოსამართლეს შეუძლია, გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იყო ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, მოსამართლეს შეუძლია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს საპროცესო

შეთანხმებაში. კერძოდ, კანონის თანახმად, თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მას შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს, სხდომის მიმდინარეობისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და საქმეს უბრუნებს პროკურორს.

### **გამოვლენილი შედეგები**

მონიტორინგის მიმდინარე პერიოდში ვითარება არსებითად არ შეცვლილა. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მოსამართლე, ძირითადად, არ იზღუდებოდა პროცედურული ვალდებულებებით და ბრალდებულისათვის ფორმალური კითხვების დასმით იმის შესახებ, ეთანხმებოდა თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია დააკვირდა 113 საპროცესო შეთანხმების სხდომას, სადაც სასამართლომ შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმება, უმრავლეს შემთხვევაში (64 შემთხვევაში), გაფორმდა ქურდობისა და ნარკოტიკული დანაშაულების საქმეებზე.

ამ საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ უარი თქვა ორი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, რადგან მისი პირობები არასამართლიანად და უკანონოდ მიიჩნია. სხვა დანარჩენ შემთხვევაში (111 შემთხვევა (98%)) მოსამართლემ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. გარდა ამისა, სამ სხდომაზე მოსამართლემ დასვა კითხვები და შეეცადა, გამოერკვია, რამდენად სამართლიანი იყო შეთანხმებული სასჯელი. ასევე, შეეცადა საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლას, თუმცა, პროკურორთან შეთანხმება ვერ მოხერხდა და პირობები უცვლელი დარჩა. აღსანიშნავია, რომ ერთ საქმეში მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება და პროკურორს სთხოვა, დაეზუსტებინა საპროცესო შეთანხმების პირობები. გარდა ამისა, ერთ საქმეში პროცესის დაწყებამდე მოსამართლემ მიუთითა პროკურორს, რომ წინა განაჩენით

დამატებით სასჯელად დანიშნული მართვის უფლების ჩამორთმევა არ ჰქონდა დამატებული დანიშნულ სასჯელს. პროკურორმა შესწორება შეიტანა და ხარვეზი აღმოფხვრა. კიდევ ერთ სხვა საქმეში მოსამართლემ ორჯერ გამოაცხადა შესვენება, ვინაიდან ბრალდებულისგან ვერ იღებდა დამარწმუნებელ პასუხს, ცნობდა თუ არა თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მოსამართლემ განუმარტა, რომ არ იყო ვალდებული, დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება და, რომ ბრალდებულს შეეძლო, ესარგებლა საქმის არსებითი განხილვის უფლებით. ბოლოს, მოსამართლემ კიდევ ერთხელ განუმარტა სსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და ბრალდებულისაგან ადეკვატური და დამაჯერებელი პასუხების მიღების შემდეგ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, არცერთი საპროცესო შეთანხმების სხდომაზე მოსამართლეს არ შეუტანია წვლილი სათანადო სასჯელის განსაზღვრაში, მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე ჰქონდა ამის მცდელობა.


აგრეთვე, დაფიქსირდა 7 შემთხვევა, როცა მოსამართლემ არ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. ასევე, ორ შემთხვევაში მოსამართლეს არ განუმარტაეს დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების წესი და საფუძვლები.

**საპროცესო შეთანხმების სხდომებზე შეფარდებულ სასჯელებთან დაკავშირებით, დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი საინტერესო ტენდენციები:**

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, კიდევ უფრო შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული წილი, რომლებითაც ბრალდებულებს ჯარიმა დაეკისრათ. ეს არის იმ ტენდენციის გაგრძელება, რომელიც საიას მიერ ამ საკითხზე 2012 წლიდან მოყოლებული ფიქსირდება.

ქვემო მოცემული დიაგრამა ასახავს ჯარიმების გამოყენების სიხშირეს მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რომლებსაც საია აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №8




რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების მთლიან ოდენობას, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი შემცირდა. კერძოდ, 43 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმის დაკისრებით, რამაც ჯამში 196.100 ლარი შეადგინა. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული თანხის ოდენობა 276.000 ლარით განისაზღვრა. თუმცა, მიუხედავად ამისა, გაიზარდა ჯარიმების საშუალო ოდენობა. წინა საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობამ 3.538 ლარი, ხოლო ამ საანგარიშო პერიოდში – 4.560 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობას 2012 წლის ივლისიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით.



დიაგრამა №9




მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში, ჯარიმების ოდენობა, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, 1.000-დან 30.000 ლარამდე მერყეობდა.

ამ საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმებებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა, კერძოდ – 7%-დან 15%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მესამე საანგარიშო პერიოდში (ივლისი-დეკემბერი, 2012) ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ს შეადგენდა. 1%-დან 7%-მდე გაიზარდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მაჩვენებელი მეოთხე საანგარიშო პერიოდში (იანვარი-ივლისი, 2013). ამის შემდეგ აღნიშნული სასჯელის გამოყენების მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა, 2014 წლის იანვარ-აგვისტოს საანგარიშო პერიოდის შემდეგ კვლავ ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების სიხშირეს საპროცესო შეთანხმებებში იმ პერიოდების განმავლობაში, რომლებსაც საია აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №10



სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ განდევნილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. მოსამართლის ეს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტია იმისათვის, რომ გააკონტროლოს საპროცესო შეთანხმების პირობების სამართლიანობა და, ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არ დაამტკიცოს შეთანხმება.

**საქმეები, რომლებშიც მოსამართლემ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება:**

- პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქმე ეხებოდა დეზერტირების ბაზარზე 5 ყუთი პომიდვრის ფარულ დაუფლებას, რითაც დაზარალებულს მიადგა 225 ლარის ზიანი. მოსამართლემ სხდომაზე ბრალდებულს დაუსვა შეკითხვები სსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების გამოსარკვევად, თუმცა, ბრალდებული ვერ სცემდა პასუხს დასმულ შეკითხვებს. როგორც პროცესიდან გაირკვა, ბრალდებულმა არ იცოდა წერა-კითხვა და ჰქონდა

გარკვეული ფსიქიკური პრობლემები. აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების პირობებში დამატებით სასჯელად გათვალისწინებული იყო ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. მოსამართლე დაინტერესდა აღნიშნული საკითხით. როგორც ბრალდებულის დედის საუბრიდან გაირკვა, ოჯახს არ ჰქონდა საშუალება, გადაეხადა ასეთი ოდენობის თანხა. მოსამართლემ პროკურორს შესთავაზა, დაეზუსტებინა საპროცესო შეთანხმების პირობები, ვინაიდან არასამართლიანად მიიჩნია დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა. ამისათვის მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა, თუმცა, შესვენების შემდეგ პროკურორმა უარი თქვა პირობების შეცვლაზე. შედეგად, მოსამართლემ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება და საქმე დაუბრუნა პროკურორს, ვინაიდან ბრალდებული ვერ იაზრებდა და ვერ სცემდა პასუხს მოსამართლის მიერ დასმულ შეკითხვებს. ამასთან, მოსამართლემ ბრალდებულის სოციალური და მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ადეკვატურად არ მიიჩნია სასჯელი ჯარიმის ნაწილში.

- პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქმე ეხებოდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების ფარულად დაუფლების ფაქტს, რის გამოც სამშენებლო კომპანიას მიაღდა 2864.31 ლარის ზიანი. როგორც პროცესიდან გაირკვა, ბრალდებულს უჭირდა წერა-კითხვა. ბრალის წარდგენასა და საპროცესო შეთანხმების დადებას ესწრებოდა გარეშე პირი, რომელმაც ბრალდებულის მაგივრად მოაწერა ხელი საპროცესო შეთანხმების დოკუმენტს. მოსამართლემ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა შეკითხვა დაუსვა ბრალდებულს და დაადგინა, რომ ბრალდებული საერთოდ ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა მის თავს. ბრალდებულისთვის გაუგებარი იყო სასჯელის მნიშვნელობა და მისი შემზღუდველი ხასიათი. მოსამართლემ რამდენჯერმე განუმარტა მას, რომ ჰქონდა საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება, თუმცა, მოსამართლის კითხვაზე, შეეძლო თუ არა უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმებაზე, ბრალდებულმა უპასუხა, რომ უარის თქმა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ამის საწინააღმდეგოდ, ადვოკატმა განაცხა-

და, რომ ბრალდებული ღელავდა სასამართლოში და საპროცესო შეთანხმების პირობებზე საუბრისას სრულად აცნობიერებდა საქმის ვითარებას. საბოლოოდ, მოსამართლემ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

ზემოაღნიშნულის გარდა, დაფიქსირდა 3 შემთხვევა, როცა მოსამართლემ დასვა დამატებითი კითხვები, ვინაიდან დაინტერესდა, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო საპროცესო შეთანხმების პირობები. ორ შემთხვევაში სცადა, გარკვეული წვლილი შეეტანა სათანადო სასჯელის განსაზღვრაში, ვინაიდან ძალიან მკაცრ სანქციად მიიჩნია ბრალდების მხარის მიერ შეთავაზებული სასჯელი, თუმცა, პროკურორის მხრიდან უარის მიღებისა და ბრალდებულის დამარწმუნებელი თანხმობის შემდეგ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება უცვლელი პირობებით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც პროკურორს სასამართლოში არ ჰქონდა მოტანილი მტკიცებულებათა ნუსხა. მოსამართლემ აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურორს მისცა შენიშვნა და უთხრა: „თუ არ დავამტკიცებდი საპროცესო შეთანხმებას, მერე რა უნდა გაგეკეთებინა? ასე დარწმუნებული ნუ იქნები, იქნებ არ ვამტკიცებ საპროცესო შეთანხმებას?!“ აღსანიშნავია, რომ მხარის ასეთი წინასწარი განწყობა ჩრდილს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს, სხდომას უკარგავს აზრს და, გარკვეულწილად, წარმოადგენს კონკრეტული მოსამართლის უპატივცემლობას, ვინაიდან მხარეები, საკუთარი ქმედებით, წინ უსწრებენ და წინასწარ განსაზღვრავენ მოსამართლის გადაწყვეტილებას მაშინ, როდესაც მოსამართლემ შეიძლება საერთოდ უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

**საქმეები, სადაც შეიძლებოდა, ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო, მოსამართლეს არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება:**

აღსანიშნავია, რომ ამ მონიტორინგის განმავლობაში საპროცესო შეთანხმების სხდომებზე დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც, მიყენებული ზიანის არამასშტაბურობის გამო, წარმოადგენდა მცირე მნიშვნელობის ქმედებას. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა, ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ის-

ეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“ აღნიშნულ რეგულაციას საფუძვლად უდევს ქმედების სოციალური ადეკვატურობის არარსებობა, რადგან ქმედება ფორმალურად კი შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ შინაარსობრივად – არა. მას არ გააჩნია საზოგადოებრივი საშიშროების ის ხარისხი, რომელიც აფუძნებს დანაშაულის შემადგენლობას.

### **მაგალითად:**

- ერთ-ერთ საქმეში პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში, რომელიც წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ერთიდან სამ წლამდე ვადით ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. ბრალდებულის ქმედებით მიყენებული ზიანი შეადგენდა 56 ლარს. საპროცესო შეთანხმებით, სასჯელის სახით დაეკისრა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა 150 საათის ვადით და პირობითი მსჯავრი 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.
- პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში, რომელიც წარმოადგენს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს. ბრალდებული, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 25 ლარის ღირებულების საათს. საპროცესო შეთანხმებით, სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით მსჯავრად იმავე გამოსაცდელი ვადით.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ სხდომაზე თავად მოსამართლემ შესთავაზა პროკურორს, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო განრიდება, თუმცა, პროკურორის მხრიდან უარის მიღებისა და შესაბამისი გარემოებების გამორკვევის შემდეგ საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მიზანშეწონილი იქნებოდა, მოსამართლეს არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება და გამოეყენებინა სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი დადგენილი რეგულაცია, ვინაიდან დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, მართალია, ფორმალურად შეიცავს კანონით აღწერილი ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე ზიანის გამო არ

არის აუცილებელი მისი ჩამდენის დასჯა.<sup>53</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 დეკემბრის განაჩენის მიხედვით, **კანონიერების პრინციპი თავის თავში გულისხმობს, რომ ყველა ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად აცხადებს, გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო როცა აღნიშნული კოდექსი საგანგებოდ მიუთითებს, რა არის დანაშაული და რა – არა, ბრალდების მხარემ კანონის აღნიშნულ დათქმას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და სწორად შეაფასოს ის ზიანი თუ ზიანის საფრთხე, რომელიც დადგებოდა აღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად.** გარდა სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილისა, არსებობს სხვა ალტერნატიული მექანიზმიც, რომელიც პირისათვის უფრო სასიკეთო შედეგებს იწვევს, ვიდრე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168<sup>1</sup>-ე პრიმა მუხლის მიხედვით, პროკურორს შეუძლია, არ დაინყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი შეასრულებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

საია იმედოვნებს, რომ მომავალში მოსამართლეები აქტიურად გამოიყენებენ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მექანიზმს ყველა შესაძლო შემთხვევაში, კერძოდ: მიყენებული ზიანის მოცულობასთან ერთად, გაითვალისწინებენ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მისი განხორციელების სტადიას, ბრალდებულის პიროვნებასა და ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს და, ყველა ამ გარემოების მხედველობაში მიღებით, პირს არ დააკისრებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. საგულისხმოა, რომ ზიანის მნიშვნელობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს დაზარალებულისათვის ამ ზიანის მნიშვნელობა და საჯარო ინტერესი. ასევე, ვიმედოვნებთ, რომ პროკურორებიც აქტიურად გამოიყენებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს, რომლებიც პროკურატურისა და სასამართლო რესურსების რაციონალურ მართვას შეუწყობს ხელს.

<sup>53</sup> ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008 წელი, გვ. 91.

#### 4. ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია, მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული უფლებები. ასევე, მოსამართლე არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს.<sup>54</sup> მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიას მონიტორები პირველად დააკვირდნენ ერთ გახმაურებულ საქმეს, რომელიც გაიმართა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.<sup>55</sup>

#### გამოვლენილი შედეგები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ზემოხსენებული საქმის ფარგლებში, საიას მონიტორები დაესწრნენ 18 არსებითი განხილვის სხდომას. აქედან, საჯაროდ გამოცხადდა 11 (61%) სხდომის შესახებ. დანარჩენი 7 (39%) სხდომის თაობაზე ინფორმაცია არ იყო მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ საიტზე, თუმცა, ვინაიდან სხდომები მიმდინარეობდა ინტენსიურ რეჟიმში, საიას მონიტორები პროცესზე იგებდნენ მომდევნო პროცესის გამართვის დროსა და თარიღს, შესაბამისად, სხდომებზე დასწრების კუთხით მათ რაიმე პრობლემა არ შექმნიათ. 18 სხდომიდან 10 (56) დაიწყო დაგვიანებით.<sup>56</sup> ყველა შემთხვევაში პროცესის დაწყება დაგვიანდა 5 წუთზე მეტი ხნით.

აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვის პირველ სხდომაზე ერთმა ძირითადმა და ერთმა სათადარიგო მსაჯულმა თვითაცილება ითხოვეს. იმის გამო, რომ მათ არ ისურვეს აღ-

<sup>54</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი. 219, მე-3 ნაწილი.

<sup>55</sup> საქმე ეხებოდა ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი წევრების - კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძამაძის ბრალდებას, რომლებსაც ბრალი ედებათ სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, 2005 წლის რედაქციით.

<sup>56</sup> 1 შემთხვევაში მოსამართლემ დააგვიანა, 1 სხდომა დაგვიანებით დაიწყო ნაფიცი მსაჯულების მიზეზით, ხოლო 1 შემთხვევაში იმავე დარბაზში მიმდინარეობდა სხვა პროცესი, რის გამოც სხდომა ვერ დაიწყო დროულად. დანარჩენ 7 შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი მონიტორებისათვის უცნობი იყო.

ნიშნულ შუამდგომლობებზე საჯაროდ საუბარი, მოსამართლემ საკითხი განიხილა მხარეებთან ერთად და ორივე ნაფიცი მსაჯულის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ისინი გათავისუფლდნენ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან. ამის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა ძირითად შემადგენლობაში დარჩა 8 ქალი და 4 მამაკაცი.

აღსანიშნავია, რომ ნაფიცი მსაჯულები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხდომის მიმდინარეობაში. ისინი ხშირად უსვამდნენ კითხვებს მონაშენებს, რათა დამატებით მიეღოთ ინფორმაცია ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე გასაგებად და დეტალურად განუმარტავდა ნაფიც მსაჯულებს მათ უფლება-მოვალეობებს, ასევე, პირველი წარდგენისა და წინასასამართლო სხდომების არსსა და დანიშნულებას. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც დიდი მოცულობის იყო, ამიტომ პროკურორი სწრაფად კითხულობდა. მოსამართლემ რამდენჯერმე მიუთითა პროკურორს, ნელა და გარკვევით წაეკითხა დოკუმენტები, რათა ნაფიცი მსაჯულებისთვისაც აღქმადი და გასაგები ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ სხდომების დახურვასთან მიმართებით დაფიქსირდა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სხდომის თავმჯდომარის მხრიდან. ერთ-ერთ სხდომაზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, რომელიც შეეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ გაცემულ ექსპერტიზის დასკვნებს. მოსამართლის გადანყვეტილებით, სხდომის ეს ნაწილი დაიხურა, ვინაიდან, მისი განმარტებით, შუამდგომლობა და, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტები შესაძლოა შეიცავდა მსხვერპლის პერსონალურ მონაცემებს. სხვა სხდომაზე დაცვის მხარემ მოითხოვა პროცესის ნაწილობრივ დახურვა, ვინაიდან, მისი თქმით, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისას გაჟღერებული იქნებოდა მსხვერპლისა და სხვა პირების პერსონალური მონაცემები. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და განმარტა, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლეს არ ჰქონდა პრეტენზია, საქმე განხილულიყო საჯაროდ, ამიტომ ბრალდებულის დაკითხვა წარიმართა ღიად და საჯაროდ.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ შენიშვნა მისცა ჟურნალისტებს, ვინაიდან ერთი ნაფიცი მსაჯულის



გამოსახულება გამოჩნდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გადაცემაში. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაუშვებელი იყო ნაფიც მსაჯულთა ვინაობის გასაჯაროება, ამიტომ თუ კიდევ განმეორდებოდა ანალოგიური ფაქტი, ტელეკომპანია დაჯარიმდებოდა და შეეზღუდებოდა მომდევნო სხდომების გადაღების უფლება. რამდენიმე სხდომის შემდეგ კვლავ გამოვლინდა ანალოგიური ფაქტი, კერძოდ, „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებაში დაფიქსირდა სამი ნაფიცი მსაჯულის სახე, რის გამოც, მოსამართლემ პროცესის გახსნისთანავე განაცხადა, რომ ტელევიზიებს შეეზღუდებოდათ გადაღება და დაატოვებინა სხდომის დარბაზი. პროცესზე არ გამორკვეულა, მოხდა თუ არა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაჯარიმება. აღსანიშნავია, რომ ამავე სხდომაზე მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართვა სხდომის გაშუქებასთან დაკავშირებით და განუმარტა, რომ, სურვილის შემთხვევაში, სასამართლო მათ მიაწოდებდა პროცესის ვიდეოჩანაწერს იმ რაკურსით, რომლითაც ნაფიც მსაჯულთა გამოსახულებები არ ჩანდა. ზემოაღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-131 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას, რომლის მიხედვითაც, „თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიო ჩანერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების განხილვის გარეშე.“

ნაფიცმა მსაჯულებმა საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, 3 საათსა და 30 წუთში გამოიტანეს გამამტყუნებელი ვერდიქტი ათი ორის წინააღმდეგ. მათ ასევე მიიღეს მონაწილეობა სასჯელის დანიშვნის სხდომაში და სასამართლოს მიმართეს სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციით ორივე ბრალდებულის მიმართ.

## **ბ. დაკვირვების შედეგად გამოვლენილი სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციები**

### **1. მოტივირებული (დასაბუთებული) სასამართლო გადაწყვეტილების უფლება**

სამართლიანი სასამართლოს უფლება ბრალდებულის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებაა, რომელიც ასევე მოიცავს

სასამართლოს მიერ მოტივირებული გადანყვეტილების მიღების უფლებას.<sup>57</sup> აღნიშნული ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, რომლის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ სასამართლოს გადანყვეტილება არ არის სრულად მოტივირებული. მნიშვნელოვანია, რომ დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ განაჩენზე, არამედ სასამართლოს ნებისმიერ გადანყვეტილებაზე.<sup>58</sup>

გადანყვეტილების მიღების დასაბუთებულობის შესაფასებლად, საია დააკვირდა გამოძიების პერიოდში განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების დაკანონების პროცესებს, რომლებიც ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. ასევე, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, გამოვიტხოვეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც ეხებოდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხს.<sup>59</sup> საია მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ამ საკითხებს ცალკე კვლევა სჭირდება, რაც სცილდება წინამდებარე ანგარიშის მიზნებს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები და გამოთხოვნილი განჩინებები საშუალებას იძლევა, თვალსაჩინო გახდეს ამ მიმართულებით საქართველოს სასამართლოებში არსებული სურათი.

ჩხრეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს პირად სფეროში ჩაურევლობის უფლებას, ამიტომ კანონი უზრუნველყოფს სასამართლო კონტროლს ჩხრეკისა და ამოღებაზე. ყველა შუამდგომლობა ჩხრეკისა და ამოღების შესახებ უნდა განიხილოს სასამართლომ და მიიღოს დასაბუთებული გადანყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე მუხლები მკაცრად განსაზღვრავს ორ წინაპირობას ჩხრეკისა და ამოღების ჩასატარებლად, ესენია: 1) დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად მოპოვებული იქნება დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულება და 2) სასამართ-

<sup>57</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.

<sup>58</sup> ტრექელი, შ. „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009, გვ. 126.

<sup>59</sup> განჩინებები გამოვიტხოვეთ შემთხვევითი პრინციპის საფუძველზე, რომელიც არ ეხება სხდომებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციასა და სტატისტიკას.

ლოს ნებართვა. ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს ნებართვის გარეშე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ, საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლები. შემდეგ მოსამართლემ ან უნდა დააკანონოს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული ჩხრეკა და ამოღება, ან უკანონოდ ცნოს და გამოიტანოს გადანყვეტილება აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია ყოველი ადამიანის უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელს.<sup>60</sup> ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას და მის ხელშეუხებლობას, დადგენილია განსაკუთრებული ნესი და მოქცეულია სასამართლოს ზედამხედველობის ჩარჩოებში, რათა არ შეილახოს საკუთრების მფლობელის კანონიერი ინტერესები და უფლებები.<sup>61</sup> უფლების შეზღუდვისათვის სასამართლოს გადანყვეტილების ალტერნატივად მიჩნეულია კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. „გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვების გარეშე. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.<sup>62</sup>

### **გამოვლენილი შედეგები**

მცირედით შეიცვალა წინა საანგარიშო პერიოდებში არსებული ვითარება ჩხრეკისა და ამოღების გადანყვეტილებებთან დაკავშირებით, თუმცა, საიამ კვლავ დააფიქსირა მოტივირებული

<sup>60</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, №1გ/1277-14, 17 დეკემბერი, 2014, გვ. 3.

<sup>61</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, 1გ-218, 18 აპრილი, 2013, გვ. 2-3.

<sup>62</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II. 3: 25.

(დასაბუთებული) გადაწყვეტილებების მიღების უფლების აშკარა დარღვევა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც, მსგავსად წინა ანგარიშებისა, თითქმის ყველა საქმეში, რომელსაც საია აკვირდებოდა, ჩხრეკა და ამოღება ჩატარებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, მოსამართლის მიერ შემდგომი დაკანონების პროცედურით. კერძოდ, ჩხრეკისა და ამოღების 27 შემთხვევიდან, რომლებიც საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში დააფიქსირა, მხოლოდ 5 (19%) შემთხვევაში ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს წინასწარი ნებართვით. დანარჩენ 22 (81%) შემთხვევაში კი, ჩხრეკა და ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, რომლის დაკანონება სასამართლოს მიერ მოგვიანებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს წინასწარი ნებართვით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების 4 შემთხვევა დაფიქსირდა გახმაურებულ საქმეებში, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები.<sup>63</sup>

ვინაიდან ჩხრეკა და ამოღება არის ინდივიდის პირადი ცხოვრების შემზღუდველი ღონისძიება, სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ ღონისძიებების ჩატარებამდე შესაბამისი ზომები უნდა განახორციელონ. ის ფაქტი, რომ, სტატისტიკურად, მათ მხოლოდ 19%-ში მიმართეს სასამართლოს წინასწარი ნებართვის მისაღებად, ავლენს მათ უპატივცემულო დამოკიდებულებას ინდივიდის პირადი ცხოვრების მიმართ და საპროცესო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან საგამონაკლისო ნორმა იქცა წესად და ხშირი გამოყენების საგნად.


საიამ ვერ შეძლო, გაერკვია, იყო თუ არა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების შემდგომი დაკანონება დასაბუთებული, ვინაიდან ისინი, ძირითადად, არ განიხილება ზეპირი მოსმენის სხდომებზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ 81% მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან კანონიერად ცნონ საგამოძიებო მოქმედე-

<sup>63</sup> ბრალდებულები: გიორგი უჯულავა, გიორგი ღონიაშვილი, ალექსანდრე გოგოხია, დავით ჭედია, ზაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, ნიკოლოზ მიმცვიშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კუზერაშვილი და ივანე მერაბიშვილი.

ბა, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რომლებშიც საია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების დაკანონების სიხშირეს აკვირდებოდა.

დიაგრამა №11



საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების შესახებ.<sup>64</sup>


თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული სტატისტიკის მიხედვით,<sup>65</sup> ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს წინასწარი ნებართვით ჩატარდა 495 შემთხვევაში, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით – 2340 შემთხვევაში, საიდანაც სასამართლომ კანონიერად ცნო მხოლოდ 1472 შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება.

<sup>64</sup> საიას 2015 წლის 14 დეკემბრის განცხადება №გ-04/625.15.

<sup>65</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბერს გამოგზავილი პასუხი №1-04294/30723.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ სიტუაციას ჩხრეკისა და ამოღების შემთხვევებთან დაკავშირებით.

დიაგრამა №12



აღსანიშნავია, რომ საკითხის სიღრმისეულად შესწავლისა და მოსამართლის გადანყვეტილების დასაბუთებულობის შეფასების მიზნით, საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის ის განჩინებები, რომლებიც მხარეს არ გაუსაჩივრებია სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.<sup>66</sup> შედეგად, სასამართლოსგან მივიღეთ სულ 15 განჩინება,<sup>67</sup> თუმცა, ორი გადანყვეტილება ეხებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად წინასწარი ნებართვის გაცემას, რაც არ ყოფილა ჩვენი მოთხოვნისა და შესწავლის საგანი. შესაბამისად, ჩვენ შევაფასეთ მხოლოდ 13 განჩინება, რომელიც ეხებოდა მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებას.

**სასამართლო განჩინებების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი საინტერესო ტენდენციები:**

<sup>66</sup> საიას 2015 წლის 9 ნოემბრის განცხადება №გ-04/573.15.

<sup>67</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბერს გამოგზავნილი პასუხი №1-01245/27391.

- 10 (77%) განჩინება, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ, არის ცალსახად დაუსაბუთებელი და არ შეესაბამება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით. განჩინებებში მხოლოდ შაბლონურად არის მითითებული ჩხრეკისა და ამოღების გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარების საფუძვლები და წინაპირობები, თუმცა, არ არის აღწერილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც შეიძლება წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ თითოეული საქმე არის განსხვავებული და ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, თუმცა, ერთი და იგივე მოსამართლის მიერ მიღებულ სხვადასხვა განჩინებაში განსხვავება მხოლოდ თარიღებსა და პერსონალურ მონაცემებში ვლინდება, რაც აკნინებს აღნიშნული განჩინებების დასაბუთებულობის ხარისხს. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, თუმცა, ასეთი შაბლონური განჩინებების ფონზე, მხარე ფაქტობრივად მოკლებულია შესაძლებლობას, იდავოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან მხარეს არ ეძლევა იმ მიზეზების შესწავლის საშუალება, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა უდევს მას საფუძვლად.<sup>68</sup> არგუმენტების გარეშე შეუძლებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების განსხვავება თვითნებურისაგან. ასევე, გადაწყვეტილება, რომელშიც არ არის მოყვანილი მისი მიღების საფუძვლები, შეიძლება არც იყოს თვითნებური, თუმცა, ნამდვილად ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას. მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ მხარეები უნდა დარწმუნდნენ სასამართ-

<sup>68</sup> ტრექელი, შ. „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009, გვ. 126.

ლოს სწორ ქმედებაში, არამედ საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ განხილვა იყო სამართლიანი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში სათანადოდ უნდა იყოს აღწერილი ის საფუძვლები, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება. ამ ვალდებულების მოცულობა იცვლება გადაწყვეტილების ხასიათისა და ბუნების შესაბამისად და დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე.<sup>69</sup>

- ორ შემთხვევაში მოსამართლემ უარი უთხრა ბრალდების მხარეს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე, ვინაიდან აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება განხორციელდა პირის ნებაყოფლობითი თანხმობით, რომელიც არ საჭიროებდა წინასწარ სასამართლო განჩინებას და არც მისი გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების აუცილებლობაზე სასამართლოს მხრიდან შემდგომ კონტროლს.
- აღსანიშნავია, რომ დარჩენილ ერთ შემთხვევაში მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიიჩნია, რომ არ არსებობდა ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომლებიც დაასაბუთებდა ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საჭიროებას მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე.

## 2. მოწმის დაცვის გარანტიების სიმცირე

არსებითი განხილვის სხდომაზე, რომელზეც მოწმე იკითხებოდა, ნათლად გამოჩნდა, რომ მოწმის დაცვის გარანტიები არ არის სრულად უზრუნველყოფილი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას, დაცვის მხარემ დაუსვა შეკითხვა, რატომ არ განაცხადა აღნიშნული ინფორმაცია თავის დროზე პროკურატურაში,<sup>70</sup> რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ ეშინოდა, რადგან მასაც იმავეს უზამდნენ, რაც იმ მანქანაში

<sup>69</sup> Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, par: 30 (27 September, 2001); Garcia Ruiz v. Spain, no. 30544/96, par: 26 (January, 1999).

<sup>70</sup> საქმე ეხებოდა 2006 წელს ჩადენილ დანაშაულს.



მყოფ პირებს გაუკეთეს.<sup>71</sup> ამ დროს, ერთ-ერთმა ბრალდებულმა მონმეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენი ძმაცაცები რომ არიან, იმათი არ გეშინია?“ გარდა ამისა, მონმის დაკითხვა ხდებოდა მისი მუდმივი შეურაცხყოფისა და დაცინვის პირობებში. ამასთან, დაცვის მხარის მიერ მონმზე აშკარა ზენოლას ჰქონდა ადგილი. ვინაიდან აღნიშნული საკითხი არ წამოჭრილა სხდომაზე, საიამ ვერ შეძლო გაერკვია, ჰქონდა თუ არა მონმეს სრული ინფორმაცია არსებული დამცავი მექანიზმების შესახებ და მოხდა თუ არა მისი გამოყენება.

სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით, მოსამართლეს არ გამოუხატავს რაიმე რეაქცია, მაგალითად, პროკურორისათვის არ მიუნიშნებია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საჭიროებაზე. ნიშანდობლივია, რომ საპროცესო კანონმდებლობით, მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს შესაბამისი ზომები მონმის უსაფრთხოების მიზნით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ეს უფლებამოსილება მთლიანად პროკურორს ენიჭება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-71 მუხლები). **ყოველივე ეს მიუთითებს კანონმდებლობის ხარვეზზე, ვინაიდან იგი სრულყოფილად არ არეგულირებს პროცესის მონაწილისა და მონმის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლებსა და უფლებამოსილ პირთა წრეს.**

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მოწმეთა და მართლმსაჯულების თანამშრომელთა დაცვის შესახებ<sup>72</sup> სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ: 1) სადაც მისი საჭიროება არსებობს, უზრუნველყონ მოწმის დაცვის ღონისძიების გატარება; 2) დაცვის ღონისძიება გამოიყენონ გადაუდებელი აუცილებლობისას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი ღონისძიება ოფიციალურად არ არის მიღებული...

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პროცესის მონაწილის, მათ შორის, მონმის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს, არ შეესაბამება მინისტრთა კომიტეტის ზემოხსენებულ რე-

<sup>71</sup> საგულისხმოა, რომ მოწმე საუბრობდა იმ ფაქტზე, რომელიც ეხებოდა რამდენიმე პირის მკვლელობას ავტომობილში.

<sup>72</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №9, წევრი ქვეყნებისათვის მოწმეთა და მართლმსაჯულების თანამშრომელთა დაცვის შესახებ, 20 აპრილი, 2005.

კომენდაციებს. კერძოდ, ამომწურავი და ვინრო ჩამონათვლის გამო, დაცვის ღონისძიება ვერ იქნება გამოყენებული ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აუცილებელია. სსსკ-ის 68-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს უფლებამოსილ პირებს, ასევე არ შეესაბამება მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას. კერძოდ, ამ ნორმით, დაცვის სპეციალური ღონისძიების გატარების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს გამოძიებისა და მასზე ზედამხედველობის ორგანოს – პოლიციასა და პროკურატურას.

**მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვების შედეგად გამოვლინდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, ამ მაგალითმა დაადასტურა საკანონმდებლო ხარვეზი და, აგრეთვე, ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა.**

აღსანიშნავია, რომ მოწმის დაცვა – ეს არ არის „მოწმისადმი კეთილგანწყობის გამოვლინება, არამედ ეს არის სახელმწიფოს მოვალეობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.“<sup>73</sup>

ამ ნაკლოვანებების გამო, მოწმე ვერ სარგებლობს კანონით მისთვის მინიჭებული დაცვის გარანტიით. აღნიშნულის საილუსტრაციო მაგალითს კი, ზემოთ მოყვანილი შემთხვევა წარმოადგენს.

### **3. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა**

არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. აკრძალვა უზრუნველყოფს ინდივიდის დაცვას წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან.

ამ უფლების რეალიზებისთვის ბრალდებულმა უნდა იცოდეს თავისი უფლებების შესახებ. ასევე, უნდა იცოდეს, რომ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, შეუძლია, საჩივარი შეიტანოს შესაბამის ორგანოებში. ამდენად, სასამართლოს ეკისრება ვალ-

<sup>73</sup> ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014, გვ. 133, პარ: 255; იხ. მითითება: „სპეციალური მომხსენებლის ანგარიში მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის შესახებ.“ „ადამიანის უფლებათა საბჭოს მეჩვიდმეტე სხდომა, 29 აპრილი 2011, პარ. 62, მათ შორის მინიშნებულია ვალდებულებები გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-13 მუხლში და საერთაშორისო კონვენციაში „ყველა პირის იძულებით გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ“ 12 (1) მუხლში.

დებულება, განუმარტოს ბრალდებულს აღნიშნული უფლებები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ბრალდებული პატიმრობაშია და სახელმწიფო ფიზიკურად სრულად აკონტროლებს მას.

საიამ, მონიტორინგის შედეგად, კვლავ გამოავლინა ამ უფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები არასათანადო მოპყრობის აკრძალვის შესახებ და მოისმინოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტები. კანონი არ ადგენს პროცედურას, რომლითაც მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება, გაატაროს ქმედითი ზომები, როდესაც სახეზეა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობა. მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ჰკითხოს ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა ადგილი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას.

### **გამოვლენილი შედეგები**

**მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ უფრო ნაკლებ შემთხვევაში განუმარტა ბრალდებულს უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში:**


- პირველი წარდგენის სხდომებზე მოსამართლემ 300 მოსმენიდან 41 შემთხვევაში (14%) არ განუმარტა ბრალდებულს, რომ ჰქონდა უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის გამო და არ გამოარკვია, დაექვემდებარა თუ არა ბრალდებული არასათანადო მოპყრობას. წინა საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ ბრალდებულს ეს უფლებები არ განუმარტა 339 მოსმენიდან მხოლოდ 24 შემთხვევაში (5%). აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასაწყისში (2011 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) ეს მონაცემები 28%-ს შეადგენდა.

მონიტორინგის წინა სამ პერიოდში დაფიქსირებული მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ტენდენცია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტების კუთხით მცირედით შეიცვალა და ამ საანგარიშო პერიოდში შედარებით გაუარესდა. წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 170-დან

მხოლოდ ერთ შემთხვევაში (0.5%) არ გამოარკვია, ხომ არ იყო საპროცესო შეთანხმება მიღწეული იძულებით, მოტყუებით ან სხვა ნებისმიერი უკანონო დაპირებით. მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც იგივე სურათი დაფიქსირდა, კერძოდ, 111 სხდომიდან, სადაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, მხოლოდ ერთ (0,5%) შემთხვევაში არ გამოარკვია მოსამართლემ აღნიშნული საკითხი.

საიას დაკვირვებით, მონიტორინგის ამ პერიოდში გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების მხოლოდ 6%-ში (111-დან 7 შემთხვევაში) არ აუხსნა მოსამართლემ ბრალდებულებს, რომ მათ მიერ სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონიერად გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ს (170-დან 3 შემთხვევა) შეადგენდა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).


დიაგრამა №13



შემთხვევების 8%-ში, სადაც საპროცესო შეთანხმება იყო მიღწეული (111-დან 9 შემთხვევა), მოსამართლემ არ აუხსნა ბრალდებულს, რომ, თუ საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდებოდა, ინფორმაცია, რომელიც გამოვლინდა საპროცესო შეთანხმების

მიღწევისას, არ იქნებოდა გამოყენებული მის წინააღმდეგ. აღნიშნული უარყოფითი მაჩვენებელი ორჯერ აღემატება წინა საანგარიშო პერიოდისათვის არსებულ მონაცემებს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას იმ საანგარიშო პერიოდების განმავლობაში, რომლებშიც საია აღნიშნული კუთხით არსებულ ტენდენციებს აკვირდებოდა.

დიაგრამა №14



მოსამართლის ფორმალური როლი არასათანადო მოპყრობის გამოძიების პროცესში და კანონის ხარვეზი ეფექტური გამოძიების მოთხოვნის ნაწილში კვლავ აშკარა იყო შემდეგ შემთხვევებში:

- პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში. პირველი წარდგენის სხდომაზე მან განაცხადა, რომ დაკავებისას სახეში გაარტყეს ხელი, თუმცა, არ იცოდა, ვინ განახორციელა აღნიშნული ქმედება. მოსამართლე შემოიფარგლა მხოლოდ იმის განმარტებით, რომ ბრალდებულს შეეძლო საკუთარი უფლებების დაცვა ადვოკატის დახმარებით.
- პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მის ცემასა და ნაძვრს. მოსამართლემ ბრალ-

დებულს ურჩია, დაენერა საჩივარი და მიემართა შესაბამისი ორგანოებისათვის. ასევე, მოსამართლემ პროკურორს მისცა მითითება, ყურადღება გაემახვილებინა აღნიშნულ საკითხზე.

- პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ, მას შემდეგ, რაც პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში გადაიყვანეს, მათზე ზენოლა განხორციელდა. მათი თქმით, პოლიციელები სცემდნენ დუბინკებით და ეუბნებოდნენ, რომ პოლიციელთათვის წინააღმდეგობის განწევს გამო სამაგიეროს გადაუხდინენ. მოსამართლემ ჰკითხა პროკურორს, ცნობილი იყო თუ არა მისთვის აღნიშნული ფაქტის შესახებ, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. პროკურორის თქმით, ბრალდებულებმა აღნიშნული მოიფიქრეს პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, ხოლო მიყენებული დაზიანებები იყო დაკავების დროინდელი. საბოლოოდ, მოსამართლემ მოუწოდა პროკურორს, დაენყო გამოძიება და გამოერკვია აღნიშნული საკითხები.

ზემოხსენებული მაგალითები კიდევ ერთხელ მიანიშნებს მოსამართლის ფორმალურ როლზე სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოაშკარავებისას და მიუთითებს ამ მიმართულებით სასამართლოს როლისა და უფლებამოსილების გაზრდის აუცილებლობაზე, რათა ყოველი ასეთი შემთხვევის აღმოჩენისას, მოსამართლეს გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტი, მოითხოვოს სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა კანონის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, დაფიქსირდა ერთი დადებითი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დეტალურად გამოიკვლია სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტი.

### **მოსამართლის რეაგირების დადებითი მაგალითი**

პირს ბრალი ედებოდა ძარცვის ჩადენაში. პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მასზე განახორციელეს ფიზიკური ძალადობა. პროკურორმა უარყო ბრალდებულის არგუმენტები და განაცხადა, რომ ბრალდებულმა თვითდაზიანება მიიყენა. ამის დასადასტურებლად, პროკურორმა შესთავაზა მოსამართლეს იმ ვიდეო-

მასალის ჩვენება, სადაც აღნიშნული ფაქტები იყო აღბეჭდილი. ბრალდებული დაეთანხმა პროკურორის ინიციატივას. ვიდეოს ჩვენების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, თუ როგორ ემუქრებოდა ბრალდებული პოლიციის თანამშრომლებს, რომ მათ დააბრალებდა მასზე ვითომდა ფიზიკური ძალადობის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე, ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გასცა კანონით მასზე დაკისრებულ მინიმალურ ვალდებულებებს და სრულად გამოიკვლია, რამდენად განხორციელდა ბრალდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობა. აღნიშნული გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულის მიმართ ადგილი არ ჰქონია არასათანადო მოპყრობას.

#### **4. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი**

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ძირითადი პრინციპებია, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლებით.

ზემოაღნიშნული პრინციპების თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, წარმოადგინონ მტკიცებულებები და ისარგებლონ თანაბარი უფლებებით საქმის მსვლელობისას.<sup>74</sup> სისხლის სამართლის პროცესში, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობისა და მათზე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.<sup>75</sup> ამ უფლების დასაცავად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მისცეს მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, გამოიკვლიონ მტკიცებულებები. გარდა ამისა, მოსამართლე არ უნდა გასცდეს ბრალდების ფარგლებს და უნდა დაეყრდნოს მხარეთა მიერ წარდგენილ პოზიციებს.

მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა განსაკუთრებით

<sup>74</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი. 42.6

<sup>75</sup> Laukkanen and Manninen v. Finland, no. 50230/99, par: 34 (3 February, 2004); Rowe and Davis v. the United Kingdom, no. 28901/95, par: 60 (16 February, 2000).

მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში, სადაც ბრალდების მხარე შესაბამისი სახელმწიფო რესურსითა და ძალაუფლებით სარგებლობს, ხოლო დაცვის მხარეს ასეთი უპირატესობა და შესაძლებლობა არ გააჩნია.

### **გამოვლენილი შედეგები**

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები უმეტესად მოქმედებდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და ყველა მხარეს თანაბრად აძლევდნენ შესაძლებლობას, წარმოედგინათ საკუთარი ინტერესები.

უმეტეს შემთხვევაში, მოსამართლეები არ ერეოდნენ მოწმეთა დაკითხვაში, წარმატებით იცავდნენ წესრიგს სასამართლო დარბაზში და უზრუნველყოფდნენ მხარეთა თანასწორობას.

მიუხედავად ამისა, საიამ დააფიქსირა ოთხი შემთხვევა (ორი შემთხვევა გამოვლინდა გახმაურებულ საქმეზე თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ), როცა მოსამართლემ, მხარეებისაგან ნებართვის მიღების გარეშე, მოწმეს დაუსვა შეკითხვები, რითაც უხეშად დაარღვია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მოწმემ თითქმის ყველა კითხვაზე, გარდა სახელისა და გვარისა, მოსამართლეს უპასუხა, რომ არ ახსოვს. აღნიშნულმა პასუხებმა მწყობრიდან გამოიყვანა მოსამართლე და აღნიშნა, რომ გაოგნებულია და აინტერესებს, თუ რით არის გამოწვეული მოწმის ეს „სრული ამნეზია“.

ასევე, ერთ-ერთ საქმეში მოსამართლე მხარეთა ნებართვის საფუძველზე ხშირად სვამდა კითხვებს, თუმცა, რეალურად, ეს არ იყო დამაზუსტებელი შეკითხვები, არამედ, უფრო დაკითხვას ჰგავდა. აგრეთვე, ერთ-ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლე ხშირად ერეოდა მოწმეთა დაკითხვაში.

*რამდენიმე საქმეში მოსამართლემ უხეშად დაარღვია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი:*

- ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე – თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ – მოსამართლემ პროკურორს არ მისცა საშუალება, ჩამოეყალიბებინა პროტესტი და აღნიშნა, რომ პროტესტი არ დაკმაყოფილდებოდა. გაუგებარია, რო-



გორ მიიღო მოსამართლემ გადაწყვეტილება, როცა არ მოუსმენია პროტესტის შინაარსი.

- ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში, რომელიც ეხებოდა გიორგი უგულავასა და სხვა პირების ბრალდებას, ბრალდების მხარემ იშუამდგომლა, რომ წინასწარ ჩაენიშნათ პროცესები და, რაც შეიძლება, მოკლე ვადებში, რათა მალე დაემთავრებინათ მტკიცებულებების გამოკვლევა. ამისათვის მათ მოსამართლეს შესთავაზეს რამდენიმე თარიღი. დაცვის მხარე ნაწილობრივ არ დაეთანხმა პროკურორების შუამდგომლობას და სასამართლოს შესთავაზა, შეცვლილიყო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი თარიღი, ვინაიდან იმ პერიოდში სხვა პროცესი ჰქონდათ დანიშნული და მოსამზადებლად დრო სჭირდებოდათ. დამატებით, გიორგი უგულავამ განაცხადა, რომ ისინი არ გამოცხადდებოდნენ მომდევნო პროცესებზე, თუ მოსამართლე არ გაითვალისწინებდა დაცვის მხარის შეხედულებას. ამის მიუხედავად, მოსამართლე არ დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობას და განაცხადა – რა თქმა უნდა, ბრალდების მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდებაო, რაც ისე ჟღერდა, თითქოს არ ჰქონდა მნიშვნელობა დაცვის მხარეს რა ინტერესები ამოძრავებდა. ამით მოსამართლემ უხეშად დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი და გამოიჩინა აშკარა მიკერძოება ბრალდების მხარის მიმართ.
- ერთ-ერთ არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. კერძოდ, ადვოკატი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ერთ-ერთი კითხვის გაპროტესტების მიუხედავად, მონემ მაინც გასცა პასუხი შეკითხვას. მოსამართლემ მიუთითა, რომ მას მაინც აქვს შესაძლებლობა, გაცემულ პასუხზეც მოეხდინა გავლენა,<sup>76</sup> თუმცა, აღნიშნა, რომ არ დააკონკრეტებდა, რას გულისხმობდა.
- სხვა საქმეში მოსამართლემ ბრალდების მხარეს მისცა მითითება, რომ მონმის მიერ გამოძიებაში მიცემული

<sup>76</sup> მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება მოწმის მიერ კითხვაზე გაცემული პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა და მოსამართლისთვის შუამდგომლობით მიმართვა, რომ მას არ მიეღო მხედველობაში აღნიშნული გარემოება.

ჩვენების ციტირება მოეხდინათ, მაგრამ ისე, რომ მიმანიშნებელი კითხვა არ დაესვათ. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ პროკურორები ხშირად მიმანიშნებელ კითხვას უსვამდნენ მოწმეებს, კერძოდ, კითხულობდნენ მთლიან ამონარიდს და მოწმეს ეკითხებოდნენ: „ხომ ასე იყო?“ სამწუხაროდ, დაცვის მხარეს არ დაუყენებია პროტესტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა მისი უფლებები, რითაც ეჭვქვეშ დააყენა ბრალდებულის მიერ ამ უფლებებით რეალურად სარგებლობის შესაძლებლობა. **მაგალითად:**

- ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე, მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, ცნობილი იყო თუ არა მისთვის ბრალდებულის უფლებები და სურდა თუ არა ამ უფლებების განმარტება. ბრალდებულმა უპასუხა, რომ იცოდა მათ შესახებ და არ საჭიროებდა დამატებით განმარტებას. შესაბამისად, მისთვის მოსამართლეს არცერთი უფლება არ განუმარტავს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე არ არის დამოკიდებული ბრალდებულის განცხადებაზე და, მაღალი ალბათობით, ბრალდებულის უფლებების დასაცავად, მოსამართლე კანონით პირდაპირ არის ვალდებული, ყველა ბრალდებულს სრულყოფილად განუმარტოს მისი უფლებები და არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას ბრალდებული მოითხოვს.
- აგრეთვე, პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, ჰქონდა თუ არა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხის გადახდის საშუალება, რაზეც ბრალდებულმა უპასუხა, რომ სხვა გზა არ აქვს. მოსამართლემ კი მიიჩნია, რომ ბრალდებული ეთანხმებოდა პროკურორის შუამდგომლობას – „გასაგებია! ე.ი. ეთანხმებით.“ მოსამართლეს არ განუმარტავს ბრალდებულისთვის, რომ შეეძლო, მოეთხოვა თანხის შემცირება ან სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, დაფიქსირდა დადებითი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლემ ხელი შეუწყო პროცესზე რეალური თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას.

## მაგალითად:

- პირველი წარდგენის 5 სხდომაზე, ბრალდებულებს, რომლებსაც არ ჰყავდათ ადვოკატი, მოსამართლემ სრულად და ამომწურავად განუმარტა აღკვეთის ღონისძიების სახეები, მათი მოთხოვნის შესაძლებლობები და თითოეული ღონისძიების გამოყენების შედეგები.

საიამ აგრეთვე დააფიქსირა სასამართლოს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სასამართლო დარბაზებში წესრიგის დაცვის კუთხით. რიგ შემთხვევაში, სასამართლო იყო არაადეკვატურად ღმობიერი, რაც აზარალებდა პროცესის ეფექტურად წარმართვას, სხვა შემთხვევებში კი – იღებდა საჭირო ზომებს დარბაზში წესრიგის დასამყარებლად. **მაგალითად:**

- ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე – მიხეილ სააკაშვილის, გიორგი უგულავას, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ – სხდომის დარბაზში იყო ხმაური. გიორგი უგულავამ და ივანე მერაბიშვილმა პროცესზე განაცხადეს, რომ მათ არ აინტერესებდათ, რა სურდა სასამართლოს და ისინი არ მიიღებდნენ მონაწილეობას ამ „ფარსში“. მათი საქციელი არ იძლეოდა სასამართლო სხდომის ნორმალურ პირობებში ჩატარების საშუალებას. მოსამართლეს აყენებდნენ შეურაცხყოფას, დასცინოდნენ და გამოხატავდნენ ამკარა უპატივცემლობას. გიორგი უგულავამ პროცესზე განაცხადა, რომ სასამართლო დარბაზი იყო მისთვის პაემნებისა და პრესკონფერენციების ოთახი. ამ ყველაფრის ფონზე, მოსამართლეს არ ჰქონია არანაირი რეაქცია და არც კი უცდია, მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დასამყარებლად. აღსანიშნავია, რომ იმავე საქმეში, ოღონდ სხვა სხდომაზე,<sup>77</sup> ივანე მერაბიშვილი ამჟამინდელ მთავრობას ემუქრებოდა. მოსამართლემ მას სიტყვა გააწყვეტინა, ვინაიდან მისი გამოსვლა იყო არაკორექტული. აღნიშნულის გამო, მერაბიშვილმა მოსამართლეს უზრდელი უწოდა. ამის აღსაკვეთად მოსამართლეს რაიმე კონკრეტული ღონისძიებები არ გაუტარებია. მართალია, მან სხდომა რამდენიმე წუთით დახურულად გამოაცხადა,

<sup>77</sup> სასამართლო სხდომებს სხვადასხვა მოსამართლე ხელმძღვანელობდა.

მაგრამ ამის მიზეზი იყო სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განხილვა.

- არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე მონმის დაკითხვა განხორციელდა მისი მუდმივი შეურაცხყოფისა და დაცინვის პირობებში. ბრალდებულები მონმეს უყვიროდნენ. მოსამართლე, სამნუხაროდ, ვერ აკონტროლებდა სიტუაციას. პროკურორმა სთხოვა მოსამართლეს, მოენოდებინა დაცვის მხარისათვის, არ ეყვირათ და მონმის დაკითხვა ჩატარებულიყო მშვიდ ვითარებაში, თუმცა, მოსამართლემ პროკურორს უპასუხა, რომ მისი მითითება არ სჭირდებოდა და თუ ვინმე წესრიგს დაარღვევდა შესაბამის რეაგირებას მოახდენდა. აღსანიშნავია, რომ მონმე კუთხურ კილოზე საუბრობდა, რაც ბრალდებულებისა და ადვოკატების მხრიდან დაცინვას იწვევდა. მოსამართლემ ერთ ადვოკატს შენიშვნა მისცა მას შემდეგ, რაც მას ხმამაღლა გაეცინა მონმის საუბარზე. აგრეთვე, იმავე საქმეში, ოლონდ სხვა სხდომაზე, ერთ-ერთი მონმის დაკითხვისას შეურაცხმყოფელი შეძახილები ისმოდა დარბაზიდან და ბრალდებულთა ახლობლების მხრიდან. მონმის აგრესიულ დაკითხვას ახორციელებდნენ ბრალდებულებიც. მოსამართლემ მხოლოდ რამდენჯერმე მისცა მათ შენიშვნა, ძირითადად კი, არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.
- არსებითი განხილვის ერთ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობდა დაზარალებულის დაკითხვა, დარბაზში დამსწრე საზოგადოება ძალიან ხმაურობდა. მონმის მისამართით ისმოდა გინება და სხვა შეურაცხმყოფელი შეძახილები. დაკითხვის დასრულების შემდეგ მონმემ დატოვა სხდომის დარბაზი, რასაც კვლავ შეურაცხმყოფელი შეძახილები და არეულობა მოჰყვა. სამნუხაროდ, მოსამართლე ვერ აკონტროლებდა დარბაზს და არც ცდილობდა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ მომდევნო სხდომაზე მოსამართლემ პროცესის დაწყებისთანავე მკაცრად მოითხოვა სინყნარე და აღნიშნა, რომ დახურავდა სხდომას, თუ დარბაზიდან რაიმე შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს გაიგებდა მონმის მისამართით. აღნიშნულით მოსამართლემ მიაღწია შედეგს და დარბაზში იყო სრული სიჩუმე.

აღნიშნული მაგალითები მიანიშნებს იმაზე, რომ ხშირად მო-

სამართლები ყოყმანობენ, სასამართლოს შეურაცხყოფისათვის გამოიყენონ სანქციები სასამართლო დარბაზში წესრიგის აღსადგენად, რაც აბრკოლებს საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

- ზემოაღნიშნულის საპირისპირო სიტუაცია დაფიქსირდა ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე. დაზარალებულის უფლებამონაცვლე შეურაცხყოფას აყენებდა ბრალდებულს, რომელიც კითხვებს უსვამდა მოწმეს. წესრიგის დარღვევის გამო მოსამართლემ მას სიტყვიერი გაფრთხილება მისცა და აუხსნა, რომ, თუ კიდევ გააგრძელებდა წესრიგის დარღვევას, გააძევებდა დარბაზიდან. ამის შემდეგ მოსამართლემ შეძლო სხდომის ნორმალურ პირობებში წარმართვა. მიუხედავად იმისა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლემ უზრუნველყო წესრიგის დაცვა, ბრალდებულს აღარ მიეცა კითხვების დასმის საშუალება. მოსამართლეს, დაზარალებულის უფლებამონაცვლის გაფრთხილების შემდეგ, აღარ მიუმართავს დაცვის მხარისათვის, ჰქონდა თუ არა კითხვები მოწმის მიმართ და პირდაპირ პროკურორთან დაიწყო იმის გარკვევა, სურდა თუ არა ხელახალი პირდაპირი დაკითხვის უფლებით სარგებლობა.
- აგრეთვე, არსებითი განხილვის კიდევ ერთ სხდომაზე მოწმე ხშირად გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას პროკურორის მიმართ, რაც იწვევდა უწესრიგობას. მოსამართლემ მოწმეს წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდა და სთხოვა, დამშვიდებულიყო.
- არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა წესრიგის დამრღვევის მიმართ, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა დაცვის მხარის დასკვნით სიტყვასთან დაკავშირებით. მოსამართლემ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, წესრიგის დამრღვევს სხდომის დარბაზი დაატოვებინა.

### სხვა დასკვნები:

- 473 არსებითი განხილვის სხდომიდან, რომლებსაც საიას მონიტორები ესწრებოდნენ, 3 სხდომა დაიხურა, 164 კი გადაიდო. დანარჩენი 306 სხდომიდან 180 შემთხვევაში

(59%) დაიკითხნენ მონმეები. **სულ დაიკითხა 439 მონმე.** აქედან, 391 (328 ჩვეულებრივი მონმე და 63 ექსპერტი) მონმე იყო ბრალდების მხარის, ხოლო 48 (47 ჩვეულებრივი მონმე და 1 ექსპერტი) – დაცვის მხარის. აღსანიშნავია, რომ მონმის დაკითხვის 180 შემთხვევიდან 17 დაკითხვის დროს მოსამართლემ კითხვები დაუსვა მონმეებს. 17 საქმიდან მოსამართლემ 4 შემთხვევაში დაარღვია საპროცესო მოთხოვნები, როდესაც კითხვები დაუსვა მონმეს მხარეთა თანხმობის გარეშე. ეს მონაცემები გაუმჯობესებულია მონიტორინგის თავდაპირველ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, როდესაც მოსამართლეები ხშირად სვამდნენ შეკითხვას პროცესუალური მოთხოვნების დარღვევით, თუმცა, გაუარესებულია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლეს არცერთ შემთხვევაში არ დაურღვევია საპროცესო ნორმები.

- გასული საანგარიშო პერიოდის მსგავსად, რამდენიმე არსებითი განხილვის სხდომაზე კვლავ არ იყო მონესრიგებული უკვე დაკითხული და დასაკითხი მონმეების განცალკევების საკითხი, რაც წესით, სასამართლომ უნდა უზრუნველყო.<sup>78</sup> მონმეები დარბაზის გარეთ იდგნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ, თუ რა ჩვენება მისცეს. ამის აღსაკვეთად კი, სამწუხაროდ, სასამართლოს არაფერი უღონია.
- აღსანიშნავია, რომ არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე მხარეებმა გამოიკვლიეს ვიდეო მტკიცებულება, რომელიც ჩანერილი იყო რუსულ ენაზე, თუმცა, არ იყო უზრუნველყოფილი მისი თარგმნა სამართალწარმოების ენაზე. საგულისხმოა, რომ თარგმნის ხელმისაწვდომობის უფლება ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლოში გაკეთებულ ზეპირ განცხადებებზე, არამედ ნებისმიერ დოკუმენტაციასა და მტკიცებულებაზე.

<sup>78</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მოწმე უნდა დაიკითხოს იმ მოწმეთაგან განცალკევებით, რომლებიც ჯერ არ დაკითხულან. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.“

## 5. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება

საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა და გარანტირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. იგი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების პროცესის მეტ გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას, მეტ ანგარიშვალდებულებასა და სასამართლო სისტემის ირგვლივ ფართო მსჯელობას.<sup>79</sup>

ამ უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმოების იმგვარად განხორციელება, რომ სხდომაზე დაინტერესებული პირის დასწრების შემთხვევაში, მას არ შეექმნას მიმდინარე პროცესზე გაყვებულ ინფორმაციაში გარკვევის პრობლემა. ეს ასევე ნიშნავს დასწრების უფლების უზრუნველყოფას ყველასთვის თანაბრად. გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, სასჯელის ზომის, შესაბამისი კანონისა და ბრალდებულის მიერ მისი გასაჩივრების უფლების მითითებით.<sup>80</sup>

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2013 წლის მაისში შევიდა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლო სხდომების მეტ საჯაროობას. ამ ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვა ტელევიზიებს მიეცათ შესაძლებლობა, განხორციელონ სასამართლო პროცესების ვიდეო და აუდიო ჩანერა.<sup>81</sup>

### **გამოვლენილი შედეგები**

ქვემოთ განხილულია დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი შემთხვევები, რომლებიც უკავშირდება სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას, მცირე ზომის სასამართლო დარბაზებს, სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლისა და გამოსვლის საკითხებს და სასამართლოს მიერ გამოცხადებულ განაჩენებს.

<sup>79</sup> ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014, გვ. 54, პარ: 64.

<sup>80</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 277.1.

<sup>81</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი. 13 პრიმა.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო განხილვის უფლება, როგორც წესი, დაცულია. მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ძირითადი გამონაკლისი იყო პირველი წარდგენის სხდომები თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში, სადაც ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ წინასწარ არასოდეს ცხადდებოდა.

ამასთან, 772 განხილვიდან<sup>82</sup> 102 შემთხვევაში (13%), რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენისა და ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომებს, წინასწარ არ გამოცხადებულა ინფორმაცია სხდომის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში აღკვეთის გარდა სხვა სხდომების 12%-ში ინფორმაცია წინასწარ არ ქვეყნდებოდა.

აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომებზე, 8 (5%) შემთხვევაში,<sup>83</sup> არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია წინასწარ. საპროცესო შეთანხმების საქმეებზე ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნების პრობლემა დაფიქსირდა 81 (72%) შემთხვევაში,<sup>84</sup> ხოლო არსებითი განხილვის საქმეებზე დაფიქსირდა 13 (3%) შემთხვევა, როდესაც საჯაროდ არ გამოქვეყნდა ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ.<sup>85</sup>

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა მოსამართლეებისა და პროცესის მონაწილეთა მხრიდან ხმადაბალი და დამსწრეთათვის გაუგებარი საუბრის შემთხვევები. აღნიშნული კი წარმოადგენს საჯარო განხილვის უფლების დარღვევას, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო სხდომაზე საზოგადოების დასწრება, მათ არ ჰქონდათ საშუალება, მოესმინათ პროცესის დროს გამოკვლეული საკითხები.

### **საჯარო განხილვის უფლების ნაწილში დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საინტერესო შემთხვევები:**

<sup>82</sup> 772 განხილვა მოიცავს წინასასამართლო, საპროცესო შეთანხმების, არსებითი განხილვისა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ჩატარებულ სხდომებს. ასევე, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებს.

<sup>83</sup> 1 შემთხვევა დაფიქსირდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, 7 - ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

<sup>84</sup> 75 შემთხვევა დაფიქსირდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, 6 - ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

<sup>85</sup> ყველა შემთხვევა დაფიქსირდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.



- აღსანიშნავია, რომ 670 წინასწარ გამოქვეყნებული საქმიდან 7 შემთხვევაში (1%) სასამართლო სხდომების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყო არასრული ან არასწორი. 6 (0.8%) შემთხვევაში განცხადებაში შეცდომით იყო მითითებული სხდომის ჩატარების დარბაზი, ხოლო ერთ (0.1%) შემთხვევაში პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაცვლად ჩატარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ამის შესახებ ინფორმაცია არ იყო მითითებული სხდომების გამოსაქვეყნებელ მონიტორზე. ამ საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, წინა საანგარიშო პერიოდის არცერთ შემთხვევაში სასამართლო სხდომების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია არ ყოფილა ხარვეზის შემცველი.
- ნაფიცი მსაჯულების შერჩევის ცამეტივე ღია სხდომაზე, რომელსაც საია აკვირდებოდა, ინფორმაცია წინასწარ იყო გამოქვეყნებული და საზოგადოებასაც თავისუფლად მიეცა მათზე დასწრების შესაძლებლობა. ეს არის იმ დადებითი ტენდენციის გაგრძელება, რომელიც დაიწყო წინა საანგარიშო პერიოდიდან. საია დადებითად აფასებს სასამართლოს მიერ ამ პრობლემის გადაჭრის ფაქტს და იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოებას აღარ შეექმნება ხელოვნური ბარიერები სხდომებზე დასწრებისას, როგორც ეს იყო წინა საანგარიშო პერიოდების განმავლობაში.
- ყველა მსურველისთვის არ იყო ხელმისაწვდომი სხდომაზე დასწრება 1072-დან (აღნიშნული არ მოიცავს ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომებს) 38 შემთხვევაში (4%). ამის მიზეზი, 11 (29%) შემთხვევაში იყო სხდომის დარბაზის სიმცირე, რის შედეგადაც ბრალდებულის ახლო ნათესავებმა და სხვა პირებმა პროცესზე დასწრება ვერ შეძლეს. მათ შორის, ყველა პროცესი იყო გახმაურებული (1 – ირაკლი ფირცხალავას, გიორგი ცაადის, ლევან ბეროძის, გრიგოლ კვინიკაძის, კახაბერ ნაკანის საქმე; 1 – ბაჩანა ახალაიასა<sup>86</sup> და მეგის ქარდავას საქმე; 1 – მირიან დეისაძის, კახაბერ გაბუნიას, ნიკოლოზ

<sup>86</sup> ბაჩანა (ბაჩო) ახალაია უკანასკნელ დრომდე იყო თავდაცვის მინისტრი და მანამდე სასჯელალსრულების სისტემის ხელმძღვანელი.

ნარსიას საქმე;<sup>87</sup> 3 – გიორგი სოსანაშვილის საქმე;<sup>88</sup> 5 – კახაბერ ფროდიაშვილის<sup>89</sup> საქმე).

- 473 არსებითი განხილვის სხდომიდან<sup>90</sup> 53 (11 %) დასრულდა განაჩენის საჯარო გამოცხადებით. აქედან 3 (6%) განაჩენი იყო გამამართლებელი, 48 (91%) – გამამტყუნებელი, ხოლო 2 (4%) განაჩენი ბრალდების ზოგ ეპიზოდში იყო გამამართლებელი, ზოგში – გამამტყუნებელი. საინტერესოა, რომ 2 გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იყო გახმაურებულ საქმეზე,<sup>91</sup> 1 – ჩვეულებრივ საქმეზე. აგრეთვე, ერთი გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იყო გახმაურებულ საქმეზე,<sup>92</sup> დანარჩენი 47 კი – ჩვეულებრივ საქმეზე. ორივე შემთხვევაში, ნაწილობრივ გამამტყუნებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი ეხებოდა გახმაურებულ საქმეს.<sup>93</sup>

<sup>87</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, რომლებიც დააკავეს ქუთაისში პარლამენტის წინ გამართული აქციის დროს.

<sup>88</sup> გიორგი სოსანაშვილს ბრალად ედებოდა იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობა. სასამართლომ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში (სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები. ასევე, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები). სოსანაშვილის საქმე განაჩენის ნაწილში ვერ მოხვდა ჩვენი მონიტორინგის ანგარიშში, ვინაიდან სხდომების ნაწილი, მათ შორის, განაჩენის გამოცხადება, არ ჩატარებულა მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

<sup>89</sup> კახაბერ ფროდიაშვილი ამჟამად მსჯავრდებულია დავით ხარაზიშვილის განზრახ მკვლელობისათვის.

<sup>90</sup> სამი სხდომა დაიხურა.

<sup>91</sup> გამართლებული იყო ლევან ჩაჩუა. ზურაბ ჭვანიას საქმის ერთ-ერთი მთავარი ექსპერტი. ლევან ჩაჩუას ბრალი ედებოდა სსკ-ის 342-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ძვ. რედაქციით). ასევე, გამამართლებელი განაჩენი გამოტანილ იქნა როლანდ ახალაიას საქმეზე, რომელსაც ბრალად ჰქონდა წარდგენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ორ ეპიზოდად. ეს საქმე სააპელაციო დონეზეა გასაჩივრებული, რომელსაც საია ადევნებს თვალს.


<sup>92</sup> გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა კახაბერ ფროდიაშვილის მიმართ, რომელიც სასჯელს იხდის 19 წლის დავით ხარაზიშვილის განზრახ მკვლელობისთვის. ამჟამად, განაჩენი გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც საია ადევნებს თვალს.

<sup>93</sup> მსჯავრდებულები: ირაკლი ფირცხალავა, გიორგი ცააძე, ლევან ბეროძე, გრიგოლ კვინიკაძე, კახაბერ ნაკანი. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ფირცხალავა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სსკ-ის 25, 369-ე მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. გიორგი ცააძე უდანაშაულოდ ცნეს სსკ-ის 369-ე მუხლის

- აღსანიშნავია, რომ 1 გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოტანილ იქნა ნაფიცი მსაჯულების მიერ, რომელიც ეხებოდა გახმაურებულ საქმეს (ზურაბ ჟვანიას<sup>94</sup> დაცვის ყოფილი წევრების – მიხეილ ძაძამიასა და კობა ხარშილაძის საქმე). ამ საქმესთან დაკავშირებით, უფრო დაწვრილებით ზემოთ ვისაუბრეთ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მდგომარეობას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №15<sup>95</sup>



ზოგიერთი განაჩენი ერთდროულად რამდენიმე ბრალდებულის მიმართ იყო გამოტანილი. 48 გამამტყუნებელი განაჩენი და ორი ნაწილობრივ გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 55 ბრალდებულის მიმართ. აქედან 16 (29%) ბრალდებულს შეეფარდა ჯარიმა, 11 (20%) ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყო საზოგადოებრივად სასარგებლო

მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მეორე საქმე ეხებოდა გიორგი უგულავას და დავით კეზერაშვილს. „რივისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეპიზოდზე“ სასამართლოს განაჩენი იყო გამამართლებელი ორივე ბრალდებულის მიმართ.


<sup>94</sup> საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

<sup>95</sup> ამ საანგარიშო პერიოდის გამამტყუნებელი განაჩენების სტატისტიკაში შედის ნაწილობრივ გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენებიც.

შრომა, ხოლო 28 (51%) ბრალდებულს სასამართლომ სასჯელის სახედ განუსაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. აღსანიშნავია, რომ 4 შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთასთან ერთად დამატებით სასჯელად გამოყენებულ იქნა თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა. **ამდენად, ყველაზე ხშირად სასამართლო სასჯელის სახით იყენებდა ვადიან თავისუფლების აღკვეთას (51%).**

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გამამტყუნებელი განაჩენით დაკისრებული სასჯელის თითოეულ სახესა და პროცენტულ მაჩვენებელს.

დიაგრამა №16



## 6. დაცვის უფლება

ბრალდებულის დაცვის უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტს სისხლის სამართალწარმოების დროს. აღნიშნული უფლება დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, როდესაც მას, ცალკეულ შემთხვევებში, არ ძალუძს, სათანადოდ დაუპირისპირდეს ბრალდების მხარეს. სავალდებულო დაცვის პრინციპი, ძირითადად, მოქმედებს მაშინ,

როდესაც ბრალდებული, სხვადასხვა მიზეზით, თავად ვერ შეძლებს ჯეროვანი დაცვის განხორციელებას, ანდა, როდესაც ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე განაპირობებს ბრალდებულის ეფექტიანი დაცვით უზრუნველყოფის აუცილებლობას.<sup>96</sup>

დაცვის უფლების სრულყოფილად რეალიზებისთვის, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მოამზადოს თავისი პოზიცია. ამასთან, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი ბერკეტი საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დასაცავად.

### **გამოვლენილი შედეგები**

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლება და ადვოკატის მონაწილეობა კანონით განსაზღვრული სავალდებულო დაცვის შემთხვევებში. სასამართლო მონიტორინგის დროს გამოვლენილი სავალდებულო დაცვის ყველა შემთხვევიდან, ბრალდებული უზრუნველყოფილი იყო სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატით.

პირველი წარდგენის 300 სხდომიდან, რომლებიც საიას დაკვირვების არეალში მოექცა, ადვოკატი მხოლოდ 176 (59%) შემთხვევაში ესწრებოდა პროცესს. აქედან 8 (5%) შემთხვევაში ადვოკატი დანიშნული იყო სახელმწიფოს ხარჯზე, ხოლო 23 (13%) შემთხვევაში – სავალდებულო წესით. დანარჩენ შემთხვევებში, ადვოკატი მონაწილე იყო შეთანხმებით, ან საიას მონიტორინგისთვის უცნობი იყო ადვოკატის დანიშვნის საფუძვლები და ნინაპირობები. აღსანიშნავია, რომ დანარჩენ 124 (41%) სხდომაზე ბრალდებული ადვოკატის გარეშე ცდილობდა საკუთარი თავის დაცვას და, უმრავლეს შემთხვევაში, ეთანხმებოდა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის პროტესტი აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ძირითადად, ეხებოდა გირაოს ოდენობას და ითხოვდა თანხის შემცირებას.

გარდა ამისა, ძირითად შემთხვევებში, როდესაც დაცვამ ითხოვა საქმის განხილვის გადადება იმისათვის, რომ უკეთ გასცნობო-

<sup>96</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 202.

და საქმის მასალებს და მომზადებულიყო, მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ასეთ შუამდგომლობებს ბრალდების მხარე არ აპროტესტებდა.

ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში, რომელიც ეხებოდა თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის ბრალდებას, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადებასთან დაკავშირებით და მოითხოვა 14 დღე, რათა გასცნობოდა საქმის მასალებს. პროკურორი არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და განაცხადა, რომ დაცვის მხარე ისევ ცდილობდა პროცესის გაჭიანურებას. საბოლოოდ, მოსამართლემ განმარტა, რომ მხარეებს ბევრჯერ მიეცათ საკმარისი ვადა დასკვნითი სიტყვის წარმოსადგენად, ამიტომ, დაცვის მხარის მიერ დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად, სხდომაზე 4 საათიანი შესვენება გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ 4 საათის გასვლის შემდეგ მოსამართლემ სხდომა გადადო და დაცვის მხარეს მისცა ვადა დასკვნითი სიტყვაზე სამუშაოდ. შემდეგ სხდომაზე დაცვის მხარემ კვლავ მოითხოვა პროცესის გადადება იმ საფუძველით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გიორგი უგულავას უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, რის გამოც უნდა მიემართათ იმ მოსამართლისათვის, რომლის განსახილველ საქმეზეც ბრალდებულს პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული. ბრალდების მხარე კვლავ არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ ადვოკატის ეს შუამდგომლობა პროცესის გაჭიანურებას ისახავდა მიზნად. მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და სხდომა გადადო მეორე დღისთვის. ამასთან, მოუწოდა დაცვის მხარეს, რომ მეორე დღეს წარმოედგინათ დასკვნითი სიტყვა. მომდევნო სხდომაზე დაცვის მხარემ კვლავ დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადებასთან დაკავშირებით. სახაზინო წესით დანიშნულმა ადვოკატმა განაცხადა, რომ იგი სრულყოფილად არ იყო მზად დასკვნითი სიტყვის სათქმელად, ვინაიდან მას მხოლოდ ორკვირიანი ვადა ჰქონდა მოსამზადებლად. ბრალდებული უგულავა დაეთანხმა ადვოკატის შუამდგომლობას და პროცესის ერთი კვირით გადადება ითხოვა, რადგან, მისი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ჰქონდა ემოციური ფონი და ვერ ახდენდა კონცენტრაციას. ბრალდების მხარე კვლავ არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას. საბოლოოდ, მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რის შემდეგად, დაცვის მხარემ წარმოადგინა

დასკვნითი სიტყვა. საგულისხმოა, რომ მოსამართლემ დაცვის მხარეს მისცა შესაძლებლობა, ეფექტურად განეხორციელებინა ბრალდებულის დაცვა, თუმცა, ბოლო სხდომებზე დაცვის მხარის შუამდგომლობები სხდომის გადადებასთან დაკავშირებით აშკარად ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა დაცვის უფლების დარღვევის გარკვეული შემთხვევები, როდესაც სასამართლომ არ მიიღო შესაბამისი ზომები დაცვის უფლების ეფექტურად განსახორციელებლად, **მაგალითად:**

- ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით, მაგრამ, ვინაიდან შუამდგომლობა დააყენა ზეპირი ფორმით და არ ჰქონდა წერილობითი სახით წარმოდგენილი, მოსამართლემ არ მოუსმინა და მიუთითა, რომ ზეპირი ფორმით წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. აღსანიშნავია, რომ სხვა არაერთ შემთხვევაში მოსამართლეებს მოუსმენიათ დაცვის მხარის ზეპირი შუამდგომლობებისთვის, ვინაიდან, მათი განმარტებით, მართალია, საქმის სასამართლოში განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ შეუზღუდავთ დაცვის უფლება.

*ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, გამოვლინდა მოსამართლის რეაგირების დადებითი შემთხვევებიც:*

- ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა ბრალდებულის, ვინაიდან, როგორც გაირკვა, ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები. მისი ინტერესების დამცველმა განაცხადა, რომ ბრალდებულს არ ჰქონდა პრობლემა, სხდომა მის გარეშე ჩატარებულიყო. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ სხდომა გადადო და დაცვის მხარეს მიუთითა, რომ შემდეგ სხდომაზე წარმოედგინა ბრალდებულის წერილობითი თანხმობა პროცესების მის გარეშე ჩატარებასთან დაკავშირებით. ადვოკატმა ითხოვა, რომ სხდომა მხოლოდ რამდენიმე საათით გადადებულიყო და მოიტანდა ბრალდებულის წერილობით თანხმობას, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

- არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ მის ინტერესებს ადვოკატი კარგად ვერ იცავდა და არ უთმობდა სათანადო დროს, რის გამოც მისი აცილება მოითხოვა. მოსამართლემ განუმარტა, რომ ადვოკატი შეთანხმებით იყო მონვეული, ამიტომ შეეძლო, ნებისმიერ დროს უარი ეთქვა მის მომსახურებაზე და სხვა ადვოკატი შეერჩია, ან სასამართლო დაუნიშნავდა სავალდებულო წესით.
- ერთ-ერთ საქმეზე, როდესაც გამომძიებლის მოწმის სახით დაკითხვა მიმდინარეობდა, დაცვის მხარის შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჩაატარა მთელი რიგი საგამომძიებო მოქმედებები, რომლითაც შეიძლებოდა გამამართლებელი მტკიცებულებები მოპოვებულიყო, მოწმემ უპასუხა, რომ ეს იყო გამომძიების ტაქტიკა. დაცვის მხარემ კვლავ დაუსვა კითხვა მოწმეს, რატომ არ ჩაატარა ექსპერტიზა ბრალდებულის სხვა იარაღზე, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ მას ინფორმაცია ამის შესახებ არ ჰქონია. აღნიშნული შეკითხვა გააპროტესტა ბრალდების მხარემ და მოითხოვა მისი განრიდება, თუმცა, მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ გამომძიებელმა უნდა შეკრიბოს როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები და დაცვას აქვს უფლება, ჰკითხოს, თუ რატომ არ განხორციელდა ისეთი ქმედება, რომელსაც შესაძლებელია, მოჰყოლოდა გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვება.

*მიმდინარე მონიტორინგის განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადვოკატები და ბრალდებულები არ იყვნენ შეთანხმებულნი გარკვეულ საკითხებზე. მაგალითად:*

- ერთ-ერთ განმარტებულ საქმეზე ბაჩანა ახალაიას<sup>97</sup> წინააღმდეგ, ადვოკატებს უნდა წარმოედგინათ შესავალი სიტყვა, თუმცა, ბრალდებულმა განაცხადა, რომ სასამართლოს მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს და არ ცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებულში. მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს, ეს განცხადება იყო თუ არა დაცვის მხარის შესავალი სიტყვა, რაზეც ად-

<sup>97</sup> ბაჩანა (ბაჩო) ახალაია უკანასკნელ დრომდე იყო თავდაცვის მინისტრი და მანამდე სასჯელალსრულების სისტემის ხელმძღვანელი.



ვოკატებმა უპასუხეს, რომ ისინი წარმოადგენდნენ შესავალ სიტყვას. ადვოკატების აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, ბრალდებული აყვირდა და ადვოკატებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „*მე არ მინდა თქვენი მუხლების რახარუხი.*“ ამის შემდეგ დატოვა სხდომის დარბაზი. ადვოკატებმა, ბრალდებულთან პოზიციების შეთანხმების მიზნით, პროცესის გადადება ითხოვეს, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

- აგრეთვე, ერთ-ერთ საქმეზე, ბრალდებულის ინტერესებს იცავდა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი, რომელსაც ბრალდებულთან პოზიციები არ ჰქონდა შეთანხმებული. კერძოდ, ადვოკატმა განაცხადა, რომ ბრალდებული არ სარგებლობდა დუმის უფლებით, თუმცა, მოსამართლის შეკითხვაზე, იყენებდა თუ არა დუმის უფლებას, ბრალდებულმა უპასუხა, რომ ის სარგებლობდა დუმის უფლებით. ადვოკატს ბრალდებულთან შეთანხმებული არ ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხიც. ასევე, იმავე საქმეში მოსამართლემ ჰკითხა ადვოკატს, რატომ არ იკვლევდა წერილობით მტკიცებულებებს ბრალდების მხარესთან ერთად, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ საქმის მასალები თან არ ჰქონდა და არც სჭირდებოდა. ერთ-ერთი ექსპერტის დაკითხვისას გამოჩნდა, რომ ადვოკატი კარგად არ იცნობდა საქმის მასალებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდების მხარის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას, ადვოკატი არათუ უსმენდა პროკურორს, არამედ რამდენჯერმე „ჩათვლიმა“ კიდეც. გარდა ამისა, მან მოსამართლეს გარეთ გასვლა სთხოვა მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე დასკვნითი სიტყვაზე საუბრობდა. მისი განმარტებით, დასკვნითი სიტყვა წარმოადგენდა მტკიცებულებების თავიდან გამოკვლევასა და ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების შეფასებას, ამიტომ მის დასწრებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ არ მისცა უფლება, დაეტოვებინა პროცესი. **ეს მაგალითი ადასტურებს ასევე ადვოკატის არაკომპეტენტურობასა და არაკვალიფიციურობას.**

დაცვის არაკვალიფიციურობისა და პასიურობის შემთხვევები გამოვლინდა შემდეგ საქმეში:

- ერთ-ერთ საქმეში ადვოკატი თავის დასკვნით სიტყვაში საუბრობდა ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც არ გამოკვლეულა საქმის განხილვის დროს, რაც გააპროტესტა ბრალდების მხარემ. მოსამართლემ მოუწოდა ადვოკატს, მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ესაუბრა, რომლებიც სასამართლო სხდომაზე იქნა გამოკვლეული.

## **ბ. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ქცევა სასამართლო სხდომაზე**

საიას მიერ წარმოებული მონიტორინგის განმავლობაში მხარეებისა და სასამართლოს მხრიდან არაერთ სხდომაზე გამოვლინდა, ერთი მხრივ, არაეთიკური და, მეორე მხრივ, კანონის შეუსაბამო ქმედებები. მართალია, თითოეული ეს შემთხვევა გარკვეულწილად კონკრეტული უფლებების შეზღუდვასაც მოიცავს, თუმცა, უფრო მეტად მიუთითებს პროცესის მონაწილეთა არაპროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობაზე. აქ არ არის განხილული ისეთი ფაქტები, რომლებიც შეეხება პროცესის მონაწილეთა მიერ ნორმის ინტერპრეტაციას ან დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერად (თუნდაც არაგონივრულად) გამოყენებას.

### ***სასამართლო***

საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა მხრიდან დაფიქსირდა არაეთიკური და კანონის შეუსაბამო ქმედებები, რაც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და, გარკვეულწილად, ზღუდავს მხარეების მიერ კონკრეტული უფლების ეფექტურად გამოყენებას.

საგულისხმოა, რომ სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, უნდა იყოს მომთმენი და თავაზიანი მხარეების, ნაფიცი მსაჯულების, მონმეების, ადვოკატებისა და სხვა პირთა მიმართ, რომლებთანაც უნევს ოფიციალური ურთიერთობა. ასევე, მოსამართლემ მსგავსი ქცევისკენ უნდა მოუწოდოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალსა და სხვა პირებს, რომლებიც ექვემდებ-

ბარებიან მოსამართლის ხელმძღვანელობასა და კონტროლს.<sup>98</sup>

საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთ სხდომაზე პროკურორის შუამდგომლობაში აღმოჩნდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ეხებოდა სსკ-ის 59-ე მუხლის ნაწილებს. მოსამართლემ გამოიჩინა არაეთიკური საქციელი და პროკურორს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ეს რა აჯაფსანდალია?“

აგრეთვე, წინასასამართლო განხილვის ორ სხდომაზე დაფიქსირდა მოსამართლის არაფორმალური და თავშეუკავებელი საქციელი ადვოკატისა და თარჯიმნის მიმართ.

- პირველ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს ელაპარაკებოდა თარჯიმანი, არა მხოლოდ მოსამართლე, არამედ ადვოკატიც და პროკურორიც იცინოდნენ. ვინაიდან, ბრალდებული მოთავსებული იყო გისოსებიან დარბაზში, თარჯიმანი ვერ ახერხებდა ბრალდებულთან კომუნიკაციას. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლემ შემდეგი სიტყვებით მიმართა საბადრაგო სამსახურს: „მოიტათ, გამოიყვანეთ რა! გვერდზე დაუსვით თარჯიმანს!“ საინტერესოა, რომ საბადრაგოს თანამშრომლებმა უარი უთხრეს მოსამართლეს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაზეც მოსამართლეს არაფერი უთქვამს.
- ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე მონმის დაკითხვა, რომელსაც თარჯიმანი ეხმარებოდა, ხორციელდებოდა სკაიპის გამოყენებით. სამწუხაროდ, მონმის საუბარი კარგად არ ესმოდა ბრალდებულს, ამიტომ მოსამართლემ ბადრაგებს მიმართა, რომ ბრალდებული გადმოეყვანათ პროექტორთან და კომპიუტერთან ახლოს, რათა მას კარგად შეძლებოდა მონმის ჩვენების მოსმენა. ამდენად, მოსამართლემ ყველა პირობა შეუქმნა ბრალდებულს, რომ მიმდინარე პროცესი მისთვის აღქმადი ყოფილიყო.
- მეორე წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ შენიშვნა მისცა ადვოკატს, რომ, როდესაც მას მიმართავდა, ფეხზე ამდგარიყო. იქვე მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმაზე, რომლის მიხედ-

<sup>98</sup> ზანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, კომპეტენცია და გულისხმიერება.

ვითაც, მხარეებს ევალეზათ ფეხზე ადგომით მიმართონ მოსამართლეს. ადვოკატს, რომელსაც დაავიწყდა აღნიშნული ნორმის განმარტების გათვალისწინება, მოსამართლემ უთხრა: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!“ ამის შემდეგ ადვოკატმა ბოდიში მოიხადა და ფეხზე წამოდგა.

პირველი წარდგენის კიდევ ერთ სხდომაზე დაფიქსირდა მოსამართლის არაფორმალური და ცინიკური დამოკიდებულება ბრალდებულის მიმართ. კერძოდ, მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს, იყო თუ არა ნარკოტიკებზე დამოკიდებული, რაზეც ბრალდებულმა განაცხადა, რომ არ იყო ნარკოტიკების მომხმარებელი. აღნიშნულ პასუხზე მოსამართლეს გაეცინა და კვლავ მიმართა ბრალდებულს: „იქნებ პოლიციელებმა დაგალევივნეს რამე?“ ამ კითხვასაც ბრალდებულმა უარყოფითი პასუხი გასცა, რაზეც მოსამართლეს კვლავ გაეცინა.

პირველი წარდგენის ერთ-ერთი სხდომის დასრულების შემდეგ მოსამართლემ აღნიშნა, რომ საქმის პროკურორს ხშირად შემოჰქონდა მოუმზადებელი შუამდგომლობები, რის გამოც მოსამართლეს უწევდა, დაკავებულები პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა, ვინაიდან ეს შუამდგომლობები გარკვეულ შეცდომებს შეიცავდა. აგრეთვე, მოსამართლემ პროცესის შემდეგ შესთავაზა პროკურორს, უფრო დიდი ასოებით ამოებეჭდა საპროცესო კოდექსიდან დაკავების მუხლები.

პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. კერძოდ, ორ პირს ბრალი ედებოდა ყაჩაღობის ჩადენაში, რომელთაგან არცერთი წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, მოსამართლემ განაცხადა, რომ მას ჩამოყალიბებული აქვს თავისი აზრი და მიაჩნია, რომ როცა ადამიანი გადაწყვეტს ვინმეს თავს დაესხას ქონების დაუფლების მიზნით, თუ მან ეს ეტაპი გადალახა, ყოველთვის იარსებებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. აღსანიშნავია, რომ პირის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხი წყდება საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მხარეთა მიერ გამოკვლევული მტკიცებულებების საფუძველზე. ამდენად, სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი განცხადებების გაკეთებისაგან, რომელიც განაჩენის გამოტანამდე საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ ბრალდებული არის დამნაშავე. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით

აღნიშნავს, რომ „ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ჰუმანური მოპყრობა და მათი ღირსების პატივისცემა არის წესი, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული ფუნდამენტურად და უნივერსალურად“ და რომელიც უნდა ეხებოდეს განურჩევლად ყველა ბრალდებულს.<sup>99</sup>

არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე პროცესი დაიწყო 25 წუთის დაგვიანებით. მხარეებმა წარმოადგინეს თავიანთი შესავალი სიტყვები. ასევე, პროკურორს მოყვანილი ჰყავდა ორი მონმე დასაკითხად, თუმცა, მოსამართლემ განაცხადა, რომ ამავე სხდომაზე ვერ შეძლებდა მათ დაკითხვას, ვინაიდან, მოსამართლის განმარტებით, როცა მხარეები წარმოადგენენ შესავალ სიტყვას, იმავე დღეს არ ხდება მონმეების დაკითხვა. მიუხედავად ამისა, პროკურორის დაჟინებული თხოვნით, პროცესზე დაიკითხა ერთი მონმე. მოცემულ შემთხვევაში, შეიძლებოდა ორივე მონმის დაკითხვა, მოსამართლეს რომ არ დაეგვიანა პროცესზე 25 წუთით და სხდომა დროულად გახსნილიყო. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესის აუდიოჩანწერა მოხდა ნაწილობრივ, კერძოდ, მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ პროკურორს წერილობითი სახით ჰქონდა წარმოდგენილი შესავალი სიტყვა, მისი აუდიოჩანწერა აღარ მომხდარა და მიკროფონები ჩაირთო მხოლოდ ადვოკატის მიერ შესავალი სიტყვის წარმოთქმის დროს.

### **პროკურორი**

საანგარიშო პერიოდში, რამდენჯერმე დაფიქსირდა არაკომპეტენტური და დაუდევარი საქციელი პროკურორის მხრიდან. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, პროკურორმა სათანადოდ არ იცოდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმები.

ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ ჰკითხა პროკურორს, რამდენი დრო დასჭირდებოდა საქმის არსებითი განხილვის მოსამზადებლად და შესთავაზა, შეთანხმებულიყვნენ სხდომის თარიღზე. პროკურორმა უპასუხა, რომ 10-15 დღე საკმარისი იქნებოდა. მოსამართლემ დააზუსტა, რომ 15 დღეს ვერ მისცემდა, თუმცა, პროკურორს მაშინაც არ გაახსენ-

---

<sup>99</sup> ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014, გვ. 67, პარ: 99; იხ. მითითება: „ზოგადი კომენტარი N.21, მუხლი 10: „თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ადამიანური მოპყრობა“, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, U.N.Doc. CCPR/C/GC/21, 10 აპრილი, 1992, პარ. 4.

და, რომ საქმის არსებითი განხილვისთვის მაქსიმალური ვადა არის 14 დღე, რომელიც აითვლება წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან, თუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხვა ვადას არ განსაზღვრავს, ან დამატებით გონივრული ვადა არ არის საჭირო ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად. აღსანიშნავია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეს არ უთხოვია ვადის გაგრძელება ან შემცირება და საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადიც არ ყოფილა.

არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე პროკურორი მოსამართლეს ეკითხებოდა, რა თანმიმდევრობით გამოეკვლია მტკიცებულებები – ჯერ მონმეები დაეკითხა თუ ჯერ წერილობითი დოკუმენტები წარმოედგინა. მოსამართლემ, აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურორს აუხსნა, რომ მტკიცებულებების გამოკვლევის რიგითობას თავად მხარე განსაზღვრავს.

არსებითი განხილვის კიდევ ერთ სხდომაზე პროკურორმა თავისი დასკვნითი სიტყვა წაიკითხა გარკვეული ფაქტობრივი შეცდომებით, კერძოდ, საუბრობდა, რომ დაზარალებულს თავს დაესხა 3 ადამიანი. მოსამართლემ შეუსწორა და უთხრა, რომ ბრალდებულის სკამზე მხოლოდ ერთი ადამიანი იჯდა. პროკურორი ასევე ხშირად იყენებდა ტერმინს – „სიცოცხლის მოსპობა“, როცა განიხილებოდა განზრახ მკვლელობის საკითხი.

აგრეთვე, პირველი წარდგენის სამ სხდომაზე გამოვლინდა პროკურორის არაკომპეტენტური/დაუდევარი საქციელი.

- პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ ჰკითხა პროკურორს, როდის იყო გამოცემული ბრალდების შესახებ დადგენილება. პასუხად, პროკურორმა გამოცემის თარიღად მიუთითა 30 რიცხვი, ხოლო დადგენილების გადაცემის თარიღად – 31. მოსამართლემ უსაყვედურა პროკურორს და აღნიშნა, რომ განჩინებაზე დადგენილების გამოცემის თარიღად მითითებული იყო 29 რიცხვი. პროკურორმა თავი იმართლა და უთხრა, რომ ეს, უბრალოდ, ტექნიკური ხარვეზი იყო. მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა და პროკურორს სთხოვა, გაერკვია აღნიშნული საკითხი, თუმცა, შესვენების შემდეგაც პროკურორმა ვერ შეძლო თავისი ნათქვამის დამტკიცება, რის გამოც უკან გაითხოვა შუამდგომლობა.
- პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა დაბადების თარიღი, რომელიც არ

დაემთხვა საქმის მასალებში არსებულ ინფორმაციას. ასევე სხვა თარიღი იყო მითითებული ბრალდებულის პირადობის დამადასტურებელ მონმობაზე. პროკურორმა შესვენება მოითხოვა აღნიშნული საკითხის გასარკვევად. როგორც აღმოჩნდა, ბრალდების შესახებ დადგენილება გამოტანილი იყო სხვა ბრალდებულის მიმართ, რის გამოც პროკურორი იძულებული გახდა, საქმე გამოეთხოვა.

- პირველი წარდგენის კიდევ ერთ სხდომაზე პროკურორმა მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, თუმცა, არ ჰქონდა სრული ინფორმაცია ბრალდებულის ნასამართლობაზე. პროკურორმა ითხოვა შესვენება, თუმცა, აღნიშნულის გარკვევა ვერ შეძლო. შედეგად, მან უკან გაითხოვა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, რის შემდეგაც განიხილეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი. როგორც სხდომაზე გაირკვა, ეს საპროცესო შეთანხმება შედგენილი იყო სხვა პროკურორის მიერ, რომელიც პროცესზე არ გამოცხადდა. ამის გამო, მოსამართლემ შენიშვნა მისცა პროკურორს და ურჩია, შემდეგში მომზადებული მისულიყო.

### **ადვოკატი**

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ზოგიერთ შემთხვევაში, ადვოკატმა გამოავლინა არაეთიკური საქციელი საკუთარი კოლეგების მიმართ. ასევე, არაკომპეტენტური და დაუდევარი დამოკიდებულება/მიდგომა გამოიჩინა ცალკეულ პროცედურულ საკითხებთან მიმართებით.

ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატმა, სხვა სახის შუამდგომლობებთან ერთად, წარმოადგინა დასაკითხ პირთა სია, რომლის დასაშვებად ცნობასაც ითხოვდა. განხილვის შედეგად გაირკვა, რომ ადვოკატს დაუდევრობისა თუ არაკომპეტენტურობის გამო ბრალდების მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჰქონდა გადაცემული ორი მონმის გამოკითხვის ოქმი. სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო მტკიცებულებათა გაცვლის წესი და დაცვის მხარეს უარი უთხრა ამ ორი პირის მონმის სახით დაკითხვაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე.

## **დ. სასამართლო პროცესების დროულად გამართვის უზრუნველყოფა**

საიას მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა პრობლემები სასამართლო განხილვის დროულად დაწყებასთან დაკავშირებით, რისი მიზეზიც შეიძლება სასამართლოს გადატვირთულობა ან/და პროცესების არასათანადო მენეჯმენტი იყოს. საანგარიშო პერიოდში, 772 მოსმენიდან, რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენისა და ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომებს, 314 სხდომა (41%) დაინყო ხუთ წუთზე მეტი ხნის დაგვიანებით. წინა საანგარიშო პერიოდში პროცესების მხოლოდ 23% დაინყო 5 წუთზე მეტი ხნის დაგვიანებით. პროცესების დროულად გამართვის უზრუნველყოფა კვლავ პრობლემად რჩება, რაც არასათანადო სასამართლო მენეჯმენტზე მიუთითებს.

### **აღნიშნული 314 სხდომიდან:**

- 147 შემთხვევაში (47%) მოსამართლემ დააგვიანა (აქედან 16 შემთხვევაში (11%) მოსამართლის დაგვიანების მიზეზი იყო მისი ყოფნა სხვა პროცესზე);
- 60 შემთხვევაში (20%) სასამართლოს იმავე დარბაზში სხვა სხდომა მიმდინარეობდა. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი ორჯერ გაზრდილია, რაც მიუთითებს არასაკმარისი სასამართლო რესურსების არსებობაზე და ცუდ მენეჯმენტზე);
- 21 შემთხვევაში (7%) პროცესზე ბრალდებულმა დააგვიანა;
- 24 შემთხვევაში (8%) ადვოკატმა დააგვიანა (აქედან, ერთ შემთხვევაში ადვოკატის დაგვიანების მიზეზი იყო მისი ყოფნა სხვა პროცესზე);
- 12 შემთხვევაში (4%) პროკურორმა დააგვიანა;
- 1 შემთხვევაში (0.3%) ერთ-ერთი მხარე ესწრებოდა სხვა პროცესს;
- 2 შემთხვევაში (0.6%) პროცესის დაგვიანების მიზეზი იყო ტექნიკური ხარვეზი;
- 47 შემთხვევაში (15%) დაგვიანების სხვადასხვა მიზეზი დასახელდა.



აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლოში იყო თათბირი, რომელსაც ყველა მოსამართლე ესწრებოდა. ამის გამო, სხდომების მიმდინარეობა შეჩერებული იყო.

## **რეკომენდაციები**

**ყველა წინა საანგარიშო პერიოდისა და ბოლო დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა) შესაბამის შემთხვევაში, ან საერთოდ უარი თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურატურა ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. სასამართლოებმა ასევე უნდა მოითხოვონ პროკურატურისაგან აღკვეთის ღონისძიების უფრო მეტი დასაბუთება და პროკურატურას დააკისრონ მტკიცების ტვირთი, განსაკუთრებით, გირაოს შემთხვევაში.
2. მოსამართლეებმა უფრო მეტად უნდა დაასაბუთონ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილებები და განჩინებაში უნდა მიუთითონ ის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც აუცილებელი გახდა კონკრეტული ღონისძიების გამოყენება.
3. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.
4. ყოველი აღკვეთის ღონისძიების შერჩევას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის სიმძიმე, სავარაუდოდ სასჯელი, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა და კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა გარემოება, რათა მაქსიმალურად თავიდან იყოს აცილებული არაპროპორციული ღონისძიების გამოყენება.
5. ისეთ ბრალდებულებს, რომლებსაც ადვოკატი არ ჰყავთ, მოსამართლეებმა სრულყოფილად უნდა განუმარტონ ყვე-

ლა აღკვეთის ღონისძიების სახე და მათი გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, მოსამართლეები უფრო აქტიურად უნდა შეეცადნენ, საკუთარი ინიციატივით გამოარკვიონ, შესაძლებელია თუ არა გირაოსა და პატიმრობაზე უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

6. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას მოსამართლეები მეტად უნდა გააქტიურდნენ და დაამტკიცონ სამართლიანი და კანონიერი საპროცესო შეთანხმებები, რათა არ არსებობდეს ეჭვი სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით.
7. მოწმეთა დაკითხვისას მოსამართლეებმა უნდა დაიცვან კანონით დადგენილი წესი და მხოლოდ მხარეთა ნებართვის შემდეგ დაუსვან მოწმეებს შეკითხვები, რათა არ დაარღვიონ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. ამასთან, მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვები უნდა იყოს მხოლოდ დამაზუსტებელი, მკაცრად უნდა დაიცვას ნეიტრალური როლი და არ შეიჭრას არც ერთი მხარის კომპეტენციაში.
8. აუცილებელია, რომ ადვოკატები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კვალიფიციურად, აქტიურად და დამაჯერებლად ახორციელებდნენ დაცვის უფლებას.
9. მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ყველა თანაზომიერი ღონისძიება სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, რათა მხარეებს ხელი არ შეეშალოთ საკუთარი პოზიციების სრულყოფილად წარმოდგენაში.
10. აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა სრულყოფილად და გასაგებად განუმარტონ ბრალდებულებს მათი ყველა უფლება.
11. უნდა შეიცვალოს კანონი, რათა გაფართოვდეს მოსამართლეთა უფლებამოსილება ბრალდებულთა მიმართ სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. კერძოდ, მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება, მოსთხოვოს გამოძიების ორგანოს ყოველი არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება. ამასთან, პროკურორებმა, ყველა ასეთი შემთხვევის დაფიქსირების დროს უნდა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.
12. უნდა დაიხვეწოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რომლებიც მოწმის დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს ეხება. კერძოდ: უნდა გაფართოვდეს მისი გა-

მოყენების საფუძვლები, ხოლო პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მინიჭებული უფლებამოსილება – განახორციელონ აღნიშნული ღონისძიება – გადაეცეს სხვა ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება ავტონომიურად გამიჯნული საგამოძიებო ფუნქციისაგან.

13. სასამართლოები და სამართალდამცავი ორგანოები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნენ ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ აღნიშნული ღონისძიება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, მოსამართლემ კი, მხოლოდ საფუძვლიანი შემონიშნების შემდეგ უნდა დააკანონოს უკვე ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიება. აგრეთვე, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ.
14. საქართველოს იუსტიციის საბჭომ უნდა შეიმუშაოს ერთიანი სტანდარტი და სისტემა იმ სასამართლოებისთვის, რომლებსაც აქვთ სხდომების გამოსაქვეყნებელი მონიტორები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხდომების შესახებ სრულყოფილი და მართებული ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება.
15. საქმის გონივრულ ვადაში და შეუფერხებლად განხილვის უზრუნველსაყოფად, სასამართლომ მაქსიმალურად უნდა შეამციროს პროცესების დაგვიანებით დაწყება. ამასთან, მოსამართლემ გონივრულად უნდა გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხდომის დახურვის უფლება, როდესაც ეს აუცილებელია მხარის ინტერესების დასაცავად.